ყოველდღიური გაზეთი

გია ცერცვაძე

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 26 იანვარი, 2017 №21 (7256) ფასი: 50 თეთრი



შალვა შავგულიძე: „ხელისუფლებამ სტრასბურში ორჯერ დაწუნებული კანდიდატები წარადგინა“

გვ.2

26 იანვრიდან

ურჩხული და მზეთუნახავი

მაგარი ყდა, 64 ფერადი გვერდი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# ზაზა ხატიაშვილი: „თეა წულუკიანის კარიერა დასრულებულია“





გვ.2



სახალხო დამცველი იუსტიციის მინისტრისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს

## „რუსეთის ციხეებში რამდენიმე ათეული ქართველი ტყვეა“

გვ.3





ვის დაემუქრა ირაკლი სესიაშვილი

## „ნასვამ მძღოლს 5 წლით უნდა ჩამოართვან მართვის მოწმობა“

გვ.7



შალვა ხაჭაპურიძე კანონმდებლობის გამკაცრებას ითხოვს

„ნაციონალებმა შემოსავლის გარეშე დამტოვეს“

გვ.4

## მანუჩარ მაჩაიძე: „რადიკალი ლიბერალების თავგასულობა დამთავრდა“



„ამერიკელებმა მხარი დაუჭირეს ტრამპის იმ იდეებს, რომლებზეც 25 წელიწადია ვლაპარაკობ“

ISSN 1987-9385

9 771987 938006

## „მე არ ვიცი, რაში დასჭირდა დავით ბაქრაძეს სახელმწიფო დაცვა“



სიმონ ნოზაძე: „რუსეთთან დიალოგის დაწყება დათმობაზე წასვლას არ ნიშნავს“



გვ.5

## ვის და რატომ უშვებენ თავდაცვის სამინისტროდან?

გვ.4

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# შალვა შავგულიძე: „ხელისუფლებამ სტრასბურში ორჯერ დაწუნებული კანდიდატები წარადგინა“

## „ასეთ არასწორ მოქმედებას შეეწირა ისეთი კარგი კანდიდატი, როგორიც სანდრო ბარამიძეა“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი შალვა შავგულიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან წარდგენილი მოსამართლეობის კანდიდატების დაწუნების შესახებ საუბრობს.

***– ბატონო შალვა, თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ ოპოზიციის მხრიდან ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ეს სია უკან დაბრუნებულიყო. რატომ ჩავარდა წარდგენილი სია?***

– თუკი ვინმეს ბრალი მიუძღვის ამ კანდიდატების ჩავარდნაში, ეს საქართველოს ხელისუფლებაა, ვინაიდან მან კანდიდატთა შერჩევის პროცესი არასწორად ჩაატარა. იმდენი პროცედურული დარღვევა იყო, პირდაპირ ძალმომრეობით სიაში მოხვდნენ ის ადამიანები, რომლებმაც ნაკლები შეფასებები დაიმსახურეს კონკურსზე, რომ სრულიად მოსალოდნელი იყო ის, რაც მოხდა ევროპის საბჭოში.

ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ კონკურსში წარმატებული კანდიდატები სიის მიღმა დარჩნენ. ეს ინფორმაცია მიეწოდა ევროპის საბჭოს. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ ჯერ მოხდა ამ კანდიდატების დაწუნება ევროპის საბჭოს და შესაბამისი კომისიის მიერ, შემდეგ ხელისუფლებამ მაინც ჯიუტად იგივე კანდიდატები წარადგინა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

ასევე, მე მაქვს ინფორმაცია, რომ ზოგიერთი კანდიდატის კვალიფიკაციასთან დაკავშირებითაც დადგა საკითხი.

***– რომელ კანდიდატს გულისხმობთ?***

– კანდიდატს ვერ დაგისახელებთ, რადგან მეტი ინფორმაცია მჭირდება.

***– თქვენ ამბობთ, რომ პროცესი იყო პოლიტიზირებული და ამით იყო განპირობებული კანდიდატების ჩავარდნა?***

– დიახ, ნათელი გახდა, რომ მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ პროცედურების დარღვევით წარადგინა ის კანდიდატები, რომლებიც მისთვის იყო სასურველი, გარკვეულწილად, მის მიერ კონტროლირებადი. ეს დაუშვებელია, ძალიან ნეგატიური მახასიათებელია ევროპის საბჭოსთვის, როდესაც საქმე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ეხება.



***– რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ ფაქტს ქვეყნის იმიჯზე?***

– ძალიან უარყოფითი.

***– მსგავსი პრეცედენტები ხდება ხოლმე?***

– ჯერ არ მომხდარა მსგავსი ფაქტი საქართველოს შემთხვევაში. ეს არის ნეგატიური მოვლენა, მით უფრო, როდესაც მოხდა ამ კანდიდატების დაწუნება ერთხელ ევროპის საბჭოს მიერ, მაგრამ ხელისუფლებამ არასწორი რეაქცია მისცა ამას და კვლავ იგივე კანდიდატები წარადგინა. საბოლოოდ კი სასამართლომ ჩააგდო ეს კანდიდატები.

***– არსებული სიტუაციის გამოსწორება როგორ შეიძლება?***

– ერთადერთი საშუალება არის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის გამჭვირვალედ და ობიექტურად ჩატარება. ნურავის ეგონება, რომ გააკონტროლებს ევროპის საბჭოს და თავის ნებას მოახვევს ევროპულ სტრუქტურებს. პირდაპირ გეტყვით, გული მწყდება, რომ ასეთ არასწორ მოქმედებას შეეწირა ისეთი კარგი კანდიდატი, როგორიც სანდრო ბარამიძეა.

***– სანდრო ბარამიძის კანდიდატურას მხარს უჭერდით?***

– მე მიმაჩნია, რომ სანდრო ბარამიძე თავისი კვალიფიკაციით უდავოდ აკმაყოფილებს ევროპის სასამართლოს მოსამართლის თანამდებობას. სანდროს ძალიან ბევრი საქმე აქვს წარმოებული ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. როდესაც ადვოკატები ვიყავით, ჩვენ ერთობლივადაც გვიმუშავია გარკვეულ საქმეებზე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. მე ვიცი მისი შესაძლებლობები და კვალიფიკაცია, ამიტომ ვამბობ ამას. სანდრო ბარამიძე ნამდვილად იქნებოდა კარგი მოსამართლე, მაგრამ მმართველ პოლიტიკურ ძალასთან ზედმეტი ინტეგრაცია გახდა მისი დაწუნების მიზეზი.

***– სანდრო ბარამიძე ხელისუფლებასთან პირდაპირ არის აფილირებული, რადგან წულუკიანის მოადგილე იყო.***

– და ამიტომაც მოხდა ის, რაც მოხდა. ასევე მას უწევდა ისეთი კანონების გატანა, რომლებიც არ იყო ევროპული კანონმდებლობის სტანდარტებთან შესაბამისობაში. ამ მიზეზების გამო ჩვენ დავკარგეთ შანსი, რომ მაღალი დონის, კარგი კვალიფიკაციის მქონე მოსამართლე გვყოლოდა ევროპის სასამართლოში.

***– იგივე კანდიდატებს კანონით არ აქვთ შესაძლებლობა, რომ კონკურსში მიიღონ მონაწილეობა?***

– ამ კანდიდატების დაწუნება საბოლოოა და მათი წარდგენა აღარ შეიძლება. ახლა ახალი კონკურსი უნდა გამოცხადდეს და ხელახლა უნდა დაიწყოს შერჩევის პროცედურა.

***– ჩვენს მოქმედ მოსამართლეს ვადა გასდის, რამდენად მოესწრება ახალი მოსამართლის დანიშვნა და თუ მოსამართლის გარეშე დარჩა ქვეყანა, ეს შექმნის პრობლემას?***

– ევროპის სასამართლოს მოსამართლე უნდა მონაწილეობდეს იმ ქვეყნის საჩივრის განხილვაში, რომლიდანაც არის ის. თუ მოსამართლე არ გვეყოლება სტრასბურის სასამართლოში, რასაკვირველია, ეს შეაფერხებს საქართველოდან გაგზავნილი საჩივრების განხილვის პროცესს.

***– ახალი კონკურსის დროს მთავარი აქცენტი რაზე უნდა გაკეთდეს?***

– პოლიტიკური შემადგენელი არ უნდა იყოს წამყვანი. აქცენტი უნდა გაკეთდეს მაღალპროფესიონალ, კვალიფიციურ კანდიდატებზე. ეს ადამიანები ნაკლებად უნდა იყვნენ პოლიტიკაში ინტეგრირებულები, მით უფრო, მმართველ პოლიტიკურ ძალაში, რადგან უნდა იყოს განცდა, რომ ეს კანდიდატი შეძლებს ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას და არ მოექცევა მმართველი, სახელისუფლო ძალის გავლენის ქვეშ.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში მოპასუხე არის სახელმწიფო და თუ იმ სახელმწიფოს მმართველი ძალის გავლენის ქვეშ იქნა მოსამართლე, მაშინ ის ვერ იქნება სამართლიანი სახელმწიფოს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრების განხილვის დროს.

მოსამართლე უნდა იყოს ყოველგვარი პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს განცდა არ იყო კანდიდატების მიმართ და ევროპის სასამართლო არ ენდო ამ კანდიდატებს.

# ზაზა ხატიაშვილი: „თეა წულუკიანის კარიერა დასრულებულია“

## სახალხო დამცველი იუსტიციის მინისტრისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

24 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევი კომიტეტის სხდომაზე საქართველოდან წარდგენილ 3 კანდიდატთან – ევა გოცირიძესთან, ალექსანდრე ბარამიძესთან და გიორგი ბადაშვილთან გასაუბრება გაიმართა.

საბოლოოდ, მათი კანდიდატურები კენჭისყრაზე ჩავარდა, რასაც სამშობლოში დიდი ამბავი მოჰყვა.

სიტუაციის დრამატიზებას ხელი იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა შეუწყო, რომლის მტკიცებითაც, ჩვენებურთა კანდიდატურების ჩავარდნა ნაციონალური მოძრაობის, ზაზა ხატიაშვილის და უჩა ნანუაშვილის ბრალია.

– მე ძალიან დიდი გულისტკივილით ვადევნებ თვალს იმას, რომ საქართველოსთვის სიის დაბრუნებას სიხარულის ყიჟინით შეხვდა ნაციონალური მოძრაობა. ეს არ არის გასაკვირი. ისინი ყოველთვის მუშაობდნენ საქართველოს წარუმატებლობისთვის საერთაშორისო ასპარეზზე.

ამ სიის საწინააღმდეგოდ იმუშავა ასევე საქართველოს ომბუდსმენმა, რომელიც ცოტა ხნის წინ იყო ჩასული სტრასბურში და სხვა ქვეყნებს მოუწოდა, რომ არ დაეჭირათ მხარი ამ სიისთვის.

ასევე იმუშავა ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელმა, რომელიც ევა გოცირიძის ფოტოებით და მუქარით, რომ იშიმშილებდნენ, ევროპელებს ეუბნებოდა, არ დაუჭიროთ საქართველოს მხარიო.



ძალიან ბევრმა ჩვენმა მოქალაქემ და ოფიციალურმა პირმა, სამწუხაროდ, იმუშავა იმისთვის, რომ საქართველოს 24 იანვარს ეს სია უკან დაბრუნებოდა, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

მინისტრის თქმით, ახალი სიის შესადგენად ახალი კონკურსი გამოცხადდება, რომელიც მიმდინარე წელს გაიმართება.

ახალ კონკურსამდე კი წულუკიანს თავისი ბრალდებების დამტკიცება მოუწევს. უჩა ნანუაშვილი და ზაზა ხატიაშვილი ამბობენ, რომ ისინი მინისტრის ბრალდებებს ასე არ დატოვებენ და მას აუცილებლად მოსთხოვენ პასუხს.

წულუკიანის ბრალდებებმა ბევრს გაახსენა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება, რომელიც ყველა წარუმატებლობას მაშინდელ ოპოზიციას აბრალებდა.



იუსტიციის მინისტრის განცხადებებით შეურაცხყოფილი უჩა ნანუაშვილი წულუკიანს ცილისწამებაში სდებს ბრალს და მტკიცებულებების წარდგენას ითხოვს.

– პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ცილისწამება, ან მან წარმოადგინოს ამის დამადასტურებელი საბუთი, ასევე დაასახელოს ინფორმაციის წყარო, რომ თითქოს მე ჩავაგდე კონკრეტული სია და ასევე ქვეყნებს მოვუწოდებდი ამ სიის წინააღმდეგ, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ სახალხო დამცველმა მანამდე არაერთხელ აღნიშნა იმ ხარვეზების შესახებ, რომლებიც მოსამართლეების შერჩევის პროცესში არსებობდა.

– ჩვენთვის იყო გაუგებარი, თუ რატომ მოხდა თუნდაც ერთი კანდიდატურის ჩანაცვლება მეორეთი, როცა უფრო მაღალი შეფასების მქონე კანდიდატი რეალურად არ შეფასდა და მის ნაცვლად იქნა წარდგენილი სხვა, დაბალი შეფასების კანდიდატი.

კითხვის ნიშნები არაერთხელ დაისვა, თუმცა პასუხი ვერ მივიღეთ. ჩემთვის ეს შეფასება შეურაცხმყოფელი და გაუგებარია. ყველამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ სიტყვაზე ან უნდა წარმოადგინოს ამის დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტი ან ბოდიში უნდა მოიხადოს. – განაცხადა ბ-მა ნანუაშვილმა.



ბოდიშის მოხდას ითხოვს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილიც. ამასთან ამბობს, რომ წულუკიანმა სიმართლე თქვა და კანდიდატურები მისი ჩაგდებულია.

– ეს ბრალდებები არ არის, პირველად თქვა იუსტიციის მინისტრმა სიმართლე, ასეა. მართლაც, სია მე ჩავაგდე. მე ვიყავი ის პირი, რომელმაც იჩივლა ამაზე. უჩა ნანუაშვილი აქ არაფერ შუაშია და მე ვეთანხმები ბატონ უჩას, რომ მას საჩივარი არ შეუტანია. კონკრეტულად შესულია 2 საჩივარი და ორივე შევიტანე მე, ზაზა ხატიაშვილმა, – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა რუსთავი 2-თან საუბრისას.

ადვოკატთა პრეზიდენტი არ მალავს, რომ განსაკუთრებული პრეტენზიები ევა გოცირიძის მიმართ ჰქონდა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „რუსეთის ციხეებში რამდენიმე ათეული ქართველი ტყვეა“

შორენა მარსაგიშვილი

## ვის დაემუქრა ირაკლი სესიაშვილი

უკრაინაში დაკავებულ ქართველ სამხედროს გია ცერცვაძეს სავარაუდოდ დღეს, 26 იანვარს, გაათავისუფლებენ. ამის პირობა უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ დადო. ამ განცხადების შემდეგ საქართველოში ამ თემაზე ცხარე დებატები ოდნავ მინელდა.

ერის ყველაზე დიდი განრისხება დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებას მოჰყვა. გუშინ, 25 იანვარს, გია ცერცვაძის მეუღლე ტატიანა მესხმა განაცხადა, რომ მას დეპუტატმა დაურეკა და გაკეთებული განცხადების გამო მოუბოდიშა.

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ერმა კანონმდებელ ქუცნაშვილს ნაწილობრივ მიუტევა. მის ბედად, მისმა კოლეგა ირაკლი სესიაშვილმა ისეთი განცხადება გააკეთა, რომ ყოფილი ხელისუფლება მთლიანად მასზე გადაერთო.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე პირობას დებს, რომ ნაციონალები და „ევროპული საქართველო“ ხელისუფლებას თუ კიდევ მოიხსენიებენ მოღალატის იარლიყით, საკადრის პასუხს მიიღებენ.

– ბოლო ოთხი-ხუთი წლის მანძილზე უმცირესობაში მყოფ ნაციონა-


გია ცერცვაძე

ლურ მოძრაობას კულტურას ნამდვილად ვერ მოსთხოვ, მაგრამ ის, რაც ბოლო დღეების განმავლობაში ვნახე, მათ შორის გადაცემა „არჩევანის“ ეთერში, არის უნამუსობისა და თავხედობის მაქსიმუმის გამოვლინება.

ზოგიერთს ჰგონია, რომ სიტყვა „მოღალატე“ ძალიან მარტივი სათქმელია. ეს ალბათ იმიტომ, რომ მათი ცხოვრების წესია ასეთი – ასე უცხოვრიათ. მათი დაშლის პროცესიც ალბათ ამის გამოვლინებაა, თუმცა მე ყველას ვაფრთხილებ, ვინც სიტყვა „მოღალატეს“ გამოიყენებს, საკადრის პასუხს მიიღებს, – განაცხადა სესიაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

ნაციონალები და მათგან გამოყოფილები ამ განცხადებამ გადარია, არანაციონალებმა კი სესიაშვილი გივი თარგამაძეს შეადარეს, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბერს ოპოზიციას სულის ამოხდით ემუქრებოდა.

ყოფილი დეპუტატი და ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მეგი გოცირიძე სესიაშვილის განცხადებას ღია მუქარად აფასებს.

– ეს არის აგრესია და ღია მუქარა. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ღიად ემუქრება ოპონენტებს. მოვუწოდებ საზოგადოებას, სათანადო რეაგირება მოახდინონ, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში გოცირიძე.

მართალია, ის საზოგადოებისგან რეაგირებას ითხოვს, მაგრამ სულაც არ ეშინია სესიაშვილის და იმის შემოწმებასაც აპირებს, რაზეა დეპუტატი წამსვლელი.

– სოციალური ქსელითაც დავწერე და მედიასთან საუბარშიც ვიტყვი, რომ საქართველოს ხელისუფლება არის მოღალატე. მაინტერესებს, რას მიზამს ახლა სესიაშვილი. „ქართულმა ოცნებამ“ ცოცხი არავის გადაუღუნოს, ის ცოცხი, რომლითაც ხელისუფლებაში მოვიდნენ და სამარადჟამოდ მათ სიმბოლოდ დარჩება, – აცხადებს ყოფილი დეპუტატი.

სესიაშვილის მსგავსად, მას სერიოზული პრეტენზიები აქვს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთანაც, რომელიც წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს ურჩევს, სამხედროების უპატივცემულობაზე სხვებისკენ ხელის გაშვერას თავი დაანებონ.

მთელი ამ დღეების მანძილზე ნაციონალები და მათგან გამოყოფილები აცხადებდნენ, რომ ხელისუფლება სამხედროებს პატივს არ სცემს და მზად არის, ისინი ციხეებში გამოამწყვდიონ.

ამის საპასუხოდ კვირიკაშვილმა ყოფილ ხელისუფლებას ახლო წარსული გაახსენა.

– ისინი ბრალს გვდებენ სამხედროების უპატივცემულობაში, როდესაც 2008 წლის კონფლიქტის მონაწილე თითქმის ნახევარი ჯარი ციხეში ამოალპეს, ჩახოცეს ციხეში, რომლებმაც გვამებიც კი არ გადმოასვენეს კონფლიქტის ზონიდან, რომლებმაც უმძიმესი პროვოკაცია მოაწყვეს კოდორის ხეობაში და იქ მყოფი გმირი ადამიანები ჩახოცეს, რომლებმაც კრიალაშვილი, რომელიც უკვე გვამი იყო, სკამზე მიაბეს და შემდეგ კიდევ ერთხელ დახვრიტეს. ეს ადამიანები დღეს ჩვენ გვდებენ ბრალს სამხედროების უპატივცემულობაში, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურის ამ განცხადებას სამარცხვინოს უწოდებს მეგი გოცირიძე. მისი თქმით, სამხედროები სწორედ „ქართულმა ოცნებამ“ გამოკეტა ციხეში.

– ე.წ. პრემიერი გამოდის და სამხედროების დაპატიმრებას გვაბრალებს. ამას აკეთებს იმ ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელმაც ციხეში ჩასვა გაერთიანებული შტაბის უფროსი, გენერალი გიგი კალანდაძე. მის გარდა, ციხეში კიდევ ბევრი სამხედრო მოხვდა. მათ გვარებს მხოლოდ იმიტომ არ ჩამოვთვლი, რომ არ მინდა, ვინმე გამომრჩეს, – ამბობს გოცირიძე.

ის ხელისუფლებას საიდუმლო ინფორმაციის გაცემასა და ქართველი ტყვეების მიტოვებაშიც ადანაშაულებს.

– „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ციხიდან გაათავისუფლა რუსეთის ჯაშუშები. სამაგიეროდ, არაფერი გააკეთა იმ ქართველების გასათავისუფლებლად, რომლებიც რუსებმა 2008 წლის ომის შემდეგ აიყვანეს ტყვედ. საუბარია რამდე-



ნიმე ათეულ ეთნიკურ ქართველზე.

მათ რუსეთი საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობაში სდებს ბრალს. ამ ადამიანებს 10, 12 და 17-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი. კოლაბორაციონისტებისგან დაკომპლექტებულმა ხელისუფლებამ ისიც კი არ გააკეთა, რომ ეს ადამიანები რუს ჯაშუშებში გადაეცვალა, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში გოცირიძე.

მისი თქმით, მოვა დრო და ხელისუფლება აუცილებლად აგებს ამაზე პასუხს. მას განსაკუთრებით ის ფაქტი აშფოთებს, რომ რუსეთის ჯაშუშები „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტპატიმრის სტატუსით გამოიყვანა ციხიდან.

# ზაზა ხატიაშვილი: „თეა წულუკიანის კარიერა დასრულებულია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– მე პირდაპირ ვამბობდი, რომ, ჩემი შეფასებით, ევა გოცირიძის მორალური და ზნეობრივი კრიტერიუმები არ იყო შესაბამისობაში მაღალ ზნეობრივ კატეგორიებთან, – აცხადებს ხატიაშვილი.

მისი თქმით, შერჩევის პროცესი მთლიანად კონტროლდებოდა იუსტიციის სამინისტროს მიერ. კონკურსის ერთ-ერთი ორგანიზატორი კი სწორედ იუსტიციის მინისტრი იყო.

– იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა საქართველოს სახელმწიფოს აჭამეს სირცხვილი. წულუკიანის პოლიტიკური კარიერა დასრულებულია, პრემიერმა კი საქართველოს მოსახლეობას ბოდიში უნდა მოუხადოს, – ამბობს ქვეყნის მთავარი ადვოკატი.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი კანდელაკი მიიჩნევს, რომ კანდიდატების ჩავარდნა ხელისუფლებამ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს.

დეპუტატის განმარტებით, „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყანა კიდევ ერთხელ შეარცხვინა, რადგან ჩაატარა მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის უსამართლო პროცესი.

კანდელაკისვე განმარტებით, ძალიან იშვიათად ხდება, როცა ევროპული სასამართლო ქვეყანას მთელ სიას უწუნებს.

– რომელიმე ქვეყნიდან წარდგენილი კანდიდატების სიის მთლიანად დაწუნება ხდება ძალიან იშვიათად, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და არის იმ ქვეყნის უდიდესი სირცხვილი, რომლის მიერ წარმოდგენილი სიის დაწუნებაც ხდება.

სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ მთავ-



რობამ ჩვენი ქვეყანა კიდევ ერთხელ შეარცხვინა, რადგან ჩაატარა შერჩევის იმდენად უსამართლო და თავისმომჭრელი პროცესი, რომ საერთოდ კანდიდატურების განხილვაც კი ევროსასამართლოს ღირსებაზე ბევრად დაბლა აღმოჩნდა, – განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

მისი თქმით, ევა გოცირიძის კანდიდატურის ლობირებით პირადად პრემიერ-მინისტრი იყო დაკავებული, რაც ასევე დიდი სირცხვილია და წარმოაჩენს, რამდენად ქვეყნისთვის დამაზიანებელი ძალაა „ქართული ოცნება“.

– ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საბჭოთა კომუნისტური ნომენკლატურის წარმომადგენლის ლობირება უკვე დიაგნოზია, – დასძინა კანდელაკმა.

მისივე თქმით, ევროსაბჭომ საქართველო დაავალდებულა, რომ კანდიდატების შერჩევის პროცესი ახლიდან და სამართლიანად ჩაატაროს.

# კახეთის ყოფილი გუბერნატორის მამამ 1 თვეში 14 მიწის ნაკვეთი იყიდა

კახეთის ყოფილი გუბერნატორისა და ამჟამად საქართველოს პარლამენტის წევრის ირაკლი შიოლაშვილის მამამ, გენადი შიოლაშვილმა მხოლოდ 1 თვეში – 2016 წლის ნოემბერში – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შირაქში მდებარე 14 მიწის ნაკვეთი იყიდა, რაშიც 50.000 ლარი გადაიხადა. ნაკვეთების საერთო ფართობი 20,4 ჰექტარს შეადგენს.

მასვე 2016 წლის აგვისტო-სექტემბერში იჯარის უფლებით გადაეცა 134 ჰექტარი სახნავი მიწის ფართობი.

ირაკლი შიოლაშვილი კახეთის გუბერნატორად 2013 წლის 13 დეკემბერს დაინიშნა და 2016 წლის 9 სექტემბრამდე მუშაობდა. მანამდე იგი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი იყო.

გუბერნატორის თანამდებობიდან გადადგომა მას საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის გამო მოუხდა. ირაკლი შიოლაშვილი საქართველოს პარლამენტის წევრი „ქართული ოცნების“ წარდგენით, სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან გახდა.

◆ ◆ ◆

გენადი შიოლაშვილმა 2015 წლის 5 ოქტომბერს იყიდა სოფელ ოზაანში („თეფა“) მდებარე 24 ჰექტარი სახნავი მიწაც, რაშიც დაახლოებით 25.000 ლარი გადაიხადა.



ამრიგად, ყოფილი გუბერნატორისა და ამჟამად პარლამენტის წევრის მამის მიერ შეძენილი უძრავი ქონების ღირებულებამ საერთო ჯამში, 75.000 ლარი შეადგინა.

გარდა ამისა, 2016 წლის აგვისტო-სექტემბერში გენადი შიოლაშვილმა იჯარის 6 ხელშეკრულება გააფორმა შპს „მცენარეული ზეთების კორპორაცია“-სთან და შპს „მცენარეული ზეთების კომპანია ქარვა“-სთან, რის საფუძველზეც მან სარგებლობის უფლებით მიიღო ასევე შირაქში მდებარე 134 ჰექტარი სახნავი დანიშნულების მიწა.

ორივე კომპანიის მესაკუთრეა ყოფილი დეპუტატის, გოდერძი ბუკიას, ქალიშვილი ნათია ბუკია.

ირაკლი და გენადი შიოლაშვილების საცხოვრებელი ადგილის მისამართი ერთი და იგივეა – ქალაქი დედოფლისწყარო, თბილისის 14.

მიუხედავად ამისა, ირაკლი შიოლაშვილის არც ერთ ქონებრივ დეკლარაციაში ოჯახის წევრებს შორის მამა მოხსენიებული არ არის, ხოლო მისამართის გრაფაში არა საცხოვრებელი სახლის, არამედ მხოლოდ სამსახურის ადგილსამყოფელია მითითებული.

საინფორმაციო ცენტრების ქსელი გენადი შიოლაშვილის საქმიანობითაც დაინტერესდა.

საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, ის 2012 წლის 31 აგვისტოდან ინდმეწარმედ არის დარეგისტრირებული და მისი ბიზნესის სფეროს მაღაზია წარმოადგენს. გარდა ამისა, იგი საკონსულტაციო საქმიანობას ეწევა – 2009 წლიდან არის შპს „ექსპერტ-კონსულტანტის“ დირექტორი.

რაც შეეხება თვითონ ირაკლი შიოლაშვილს, გუბერნატორის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში მან თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდალში მდებარე 5 მიწის ნაკვეთი შეიძინა, რომელთა საერთო ფართობი 2 ჰექტარს შეადგენს.

ხუთივე ნასყიდობის ხელშეკრულება 2015 წლის 29 იანვარს გაფორმდა, თუმცა ირაკლი შიოლაშვილს თავის ქონებრივ დეკლარაციებში არც ამ ხელშეკრულებებისა და არც გადახდილი თანხების შესახებ ინფორმაცია არ მიუთითებია.

საინფორმაციო ცენტრების ქსელმა დაადგინა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთებში ყოფილმა გუბერნატორმა დაახლოებით 10.000 ლარი გადაიხადა.

◆ ◆ ◆

2015 წლის 22 აპრილს კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გამოაქვეყნა ჟურნალისტური გამოძიება გუბერნატორის ოჯახის ბიზნესინტერესების შესახებ.

გამოძიებაში საუბარია კახეთის გუბერნატორის ოჯახის წევრების მიერ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპეცტექნიკის და საბიუჯეტო ორგანიზაციის მუშების პირადი ინტერესებისთვის გამოყენებაზე; გენადი შიოლაშვილის მიწის ნაკვეთში შპს „სერვისი 2007“-ის ერთ-ერთი მუშის ნუგზარ ჯინაშვილის გარდაცვალების ფაქტზე.

ასევე, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ გენადი შიოლაშვილმა უკანონოდ დაისაკუთრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული სახელმწიფო ქონება; გუბერნატორის დედა, მარინე ღვინიაშვილი კი დედოფლისწყაროს გამგეობის შენობაში არსებულ ფართს კომერციული მიზნით, უსასყიდლოდ იყენებდა წლების განმავლობაში.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# მანუჩარ მაჩაიძე: „რადიკალი ლიბერალების თავგასულობა დამთავრდა“

## „ამერიკელებმა მხარი დაუჭირეს ტრამპის იმ იდეებს, რომლებზეც 25 წელიწადია ვლაპარაკობ“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ აქტუალურ საკითხებზე ესაუბრა დედაქალაქის საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატ მანუჩარ მაჩაიძეს

***– ადგილობრივ არჩევნებამდე რამდენიმე თვეა დარჩენილი. იმოქმედებს თუ არა არჩევნების დროს „ქართული ოცნების“ რეიტინგზე კიდევ უფრო გაუარესებული სოციალური ფონი?***

– სოციალური ფონი, მართლაც მძიმეა. მათ შორის, დედაქალაქშიც. ეს აისახება „ქართული ოცნების“ რეიტინგზე. ოღონდ, ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ მმართველ პარტიას მოწინააღმდეგე არ ჰყავს.

***– ნაციონალური მოძრაობა და მისგან გამოყოფილი „ევროპული საქართველო“ არ არიან მისი მოწინააღმდეგეები?***

– ჯერჯერობით არიან, მაგრამ მაგათი მდგომარეობა უარესდება. ეს ხალხი ხელისუფლებაში ველარ მობრუნდება. ამ მოძალადე და დამნაშავე ორგანიზაციის შიდა საქმეები არ მაინტერესებს. ნაციონალურმა მოძრაობამ, სააკაშვილის მეთაურობით, ძალიან დამაზარალა – შემოსავლის გარეშე დამტოვა და წამართვა ყველაფერი, რაც მქონდა. ფიზიკურადაც ძლივს გადავრჩი. ჩემი საქმე დღეს სასამართლოშია.

***– სამართლიანობის დამკვიდრებამ ხომ არ დააგვიანა?***



„ნაციონალებმა შემოსავლის გარეშე დამტოვეს“

– როგორ არ დააგვიანა! „ქართული ოცნება“ 2012 წლიდანაა ხელისუფლებაში და სამართლიანობა ძალიან მცირე რაოდენობის საქმეზე აღდგა. საშინელებების ჩამდენ ნაციონალურ მოძრაობას ძლიერი მხარდამჭერები და ლობისტები აღმოაჩნდა საზღვარგარეთ. ისინი დამნაშავე ნაციონალებს მფარველობენ, თუმცა, „ოცნებას“ მაინც უნდა ემოქმედა კანონის შესაბამისად და სამართლიანობა დაემყარებინა.

***– მსოფლიოში ძირეული ცვლილებებია. ეს იმოქმედებს ნაცმოძრაობის საზღვარგარეთულ მხარდაჭერაზე?***

– უნდა იმოქმედოს. მსოფლიოში სასიკეთო და მნიშვნელოვანი ძვრები მიმდინარეობს. რადიკალი ლიბერალების თავგასულობა დამთავრდა. სულ მეგონა, რომ ამ სატანისტებისა და ულმერთოების თარეში დაუსრულებლად ვერ გაგრძელდებოდა. ეს ნეოლიბერალები თუ ლიბერტარიანელები ღიად ებრძოდნენ ღმერთს, ნებისმიერ სარწმუნოებას, ტრადიციებს. ისინი ლახავდნენ მორწმუნეების უფლებებს, თავის წესებს ახვევდნენ ქვეყნებს. საქართველოშიც უნდოდათ ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება. ღმერთმა ამ მოძალადე ლიბერალებისგან გადასარჩენად მსოფლიოს მოუვლინა დონალდ ტრამპი – ადამიანი, რომელიც ტრადიციული ღირებულებების მიმდევარი და მომხრეა.

***– კიდევ მოელით ცვლილებებს?***

– დარწმუნებული ვარ, რომ ულმერთოების პარპაში და მმართველობა სხვაგანაც დამთავრდება. ევროპაში ამის ნიშნები უკვე ჩანს. ამ მხრივ ყველას გვეშველა.

***– ეკონომიკაში მდგომარეობის გამოსწორების მხრივ თუ გვეშველება?***

– 25 წელიწადია ვიმეორებ, რომ არაფერი ეშველება იმ ქვეყნის ეკონომიკას, რომელიც არაფერს აწარმოებს. ამაზე მაშინაც ვლაპარაკობდი, როცა პარლამენტის წევრი ვიყავი და სხვა დროსაც. სახელმწიფო, რომელიც პროდუქციას არ უშვებს, უკან-უკან მიდის. ჩვენ ამ დღეში ვართ. უამრავი საწარმო გვქონდა. ფაბრიკა-ქარხნები დახურეს, დაანგრიეს, ჯართად გაიტანეს. შევარდნაძის დროს დაწყებული დამანგრეველი პროცესი წარმატებით გააგრძელა სააკაშვილმა. რაც ხდება, ამაში ხალხია დამნაშავე.

***– ხალხი თუ ხელისუფლება?***

– ხელისუფლებას ხალხი ირჩევს. ამიტომ ეს ხალხი უმუშევრობის, უკიდურესი გაჭირვებისა და ფასების მატების გამო, ნულარ იწუწუნებს. არჩევნებში იმარჯვებენ ისინი, ვისაც წარმოების განვითარება არ აინტერესებს.

***– 200. 000 სამუშაო ადგილის შექმნის პირობა „ქართულმა ოცნებამ“ დადო.***

– ათასობით დიდი ფაბრიკა-ქარხანა გაგვიუქმეს. ამის ფონზე 50-მდე პატარა საწარმო თუ შეიქმნა, ეს ქვეყანას ვერ გადაარჩენს. სხვათა შორის, ამერიკელებმა მხარი დაუჭირეს იდეებს, რომლებზეც 25 წელიწადია ვლაპარაკობ. მათ ნდობა გამოუცხადეს დონალდ ტრამპს, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს უცხოეთში გატანილი საწარმოების ქვეყანაში დაბრუნებას და სხვა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას შეჰპირდა. აღმოჩნდა, რომ წარმოებისა და დასაქმების პრობლემა აშშ-შიც კი მდგარა. როცა ამ საკითხებზე ვლაპარაკობდი, ფაქტობრივად, მარტო ვიყავი. შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, მარტო ვიბრძოდი. საერთოდ მიკვირს, ცოცხალი როგორ დამტოვეს!

# ვის და რატომ უშვებენ თავდაცვის სამინისტროდან?

გულიკო ბალაძე

თავდაცვის უწყების მაღალჩინოსანთა განცხადებით, როგორც თავდაცვის სამინისტროში, ასევე შეიარაღებულ ძალებში მიმდინარეობს საშტატო ოპტიმიზაცია. ოპტიმიზაცია შეეხება უშუალოდ საშტატო-სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციას.

უწყებაში შექმნილია კომისიები, ქვეკომისიები, რომლებიც გადიან პირად შემადგენლობასთან გასაუბრებას და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება, ვინ გააგრძელებს მუშაობას და ვინ – არა.

დათხოვნილი პირები კი აცხადებენ, რომ თავდაცვის სამინისტროში შტატებისა და კადრების ოპტიმიზაცია პატრონიანებისა და უპატრონოების მიხედვით მიმდინარეობს.

ოპტიმიზაციის პროცესში კადრების ნაწილი დაითხოვეს, ნაწილი კი კადრების განკარგულებაში გადაიყვანეს.




**აკაკი ტატუნაშვილი,** რომელიც ჯარების ლოჯისტიკის სარდლობაში მუშაობდა უფროს სპეციალისტად, კონფლიქტის ზონიდანაა და 3 შვილი ჰყავს, „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ მისი დათხოვნა უწყებიდან უკანონოდ მოხდა.

– მე ვარ კონფლიქტის ზონიდან, ახალგორიდან, მყავს 3 შვილი, ვარ ომის ვეტერანი. 19 დეკემბრამდე ჯარების ლოჯისტიკის სარდლობაში უფროს სპეციალისტად ვმუშაობდი. 19 დეკემბრის შემდეგ კადრების განკარგულებაში გადამიყვანეს, რადგან ჩემმა სამმართველოს უფროსმა უფროსი სპეციალისტის შტატი გააუქმებინა, – გვითხრა აკაკი ტატუნაშვილმა.

***– უფროსი სპეციალისტის შტატი გააუქმეს და რიგითი სპეციალისტები დატოვეს?***

– რიგითებიც არიან, მხოლოდ ამ სამმართველოში გააუქმეს უფროსი სპეციალისტის შტატი, სხვა სამმართველოებში დატოვეს. ვისი მოშორებაც უნდოდათ, მისი შტატი გააუქმეს.

***– თქვენი მოშორება რატომ უნდა სდომებოდათ?***

– თავისი ახლობლები რომ დანიშნონ. ჩემს ადგილზე სხვა დანიშნეს ნაცნობობით. როლანდ ჯანელიძე გადმოიყვანეს დაგეგმარება-პროგრამირების განყოფილებიდან. ჩვენ ერთად ვმუშაობდით შესყიდვებში. საფინანსო-სამეურნეო განყოფილებაში ერთდროულად ვიყავით მივლინებული და შესყიდვებს ვახორციელებდით.

ლოჯისტიკის განყოფილებას გააჩნია თავისი ბაზები, სამხედრო ნაწილები და სამშენებლო მასალებს ვყიდულობდით. ორივე ანგარიშვალდებული პირები ვიყავით, მაგრამ ის სხვა განყოფილებაში მუშაობდა, მე – სხვაში. როლანდ ჯანელიძის განყოფილება გაუქმდა, რომელსაც ჰქვია დაგეგმარება, პროგრამირება, ბიუჯეტირება და ჩემს ადგილზე ჩასვეს.

***– ფიქრობთ, რომ ეს უსამართლობაა?***

– რა თქმა უნდა.

***– ე.ი. რეალურად, თქვენი შტატი არ გაუქმებულა?***

– მითხრეს, გაუქმდაო.

***– თუ ჯანელიძე თქვენს შტატზე გადმოიყვანეს, ე.ი. არ გაუქმებულა.***

– სამმართველოს უფროსმა ოთარ კაპანაძემ მითხრა, შტატი გავაუქმეო, მაგრამ სხვა დანიშნა.

***– თუ რიგითი სპეციალისტები დარჩნენ, უფროსი სპეციალისტის შტატი რატომ გაუქმდა?***

– უფროსი სპეციალისტის ადგილი მხოლოდ ამ სამმართველოში გაუქმდა. ჯანელიძე იმიტომ გადმოიყვანა, რომ ნაცნობობითა და ახლობლობითაა ყველაფერი.

***– გათავისუფლების ბრძანებაში რა დაგიწერეს?***

– შტატი გაუქმდაო.

***– შემდეგ შტატი აღადგინეს? თუ შტატი გაუქმდა, სხვა როგორ დანიშნეს?***

– მითხრეს, შენზე სარდალმა იოსებ ლოლაძემ თქვა, მაგას მე მივხედავ, მე დავნიშნავ სადმეო. სარდალს 3-4-ჯერ ვესაუბრე. მითხრა, აუცილებლად დაგნიშნავო. ბოლოს რომ ველაპარაკე, მითხრა, ძალიან ცუდ დღეში ვარ, ბევრ ხალხს უშვებენ და ვეღარ დაგეხმარები, შეიძლება არაფერი გამომივიდესო. ამ ადამიანმა ის რიგითი სპეციალისტები, ვინც მას უნდოდა, მთავარ სპეციალისტებად გადაიყვანა.

***– რაიმე პირადული იყო?***

– არანაირი პირადული, უბრალოდ, რიგით ადამიანებს უშვებენ. ვისაც ჰყავს ნაცნობი, მეგობარი ან ნათესავი, რჩება.

***– დარწმუნებული ხართ, რომ ნაცნობ-მეგობრობით ნიშნავენ?***

– რა თქმა უნდა, 9 წელი იქ ვმუშაობდი და ვიცი.

***– თქვენ როგორ მოხვდით თავდაცვის სამინისტროში?***

– ოფიციალური მიწვევა იყო და მივედი.

***– ნაცნობობით ნიშნავენო, ამბობთ და ამიტომ გკითხეთ. თქვენც ნაცნობობით დაინიშნეთ?***

– მე არა. თუმცა, მანდ ისე არავინ დადის. ყველამ იცის, რომ არა მხოლოდ თავდაცვის სამინისტროში, არამედ ყველა სამსახურში ნაცნობობით ხდება მიღება. მე, უბრალოდ, რეკომენდაცია გამიწიეს, გამესაუბრნენ და მიმიღეს.

***– რეკომენდაცია აუცილებელია თავდაცვის სამინისტროში სამსახურში მისაღებად?***

– რა თქმა უნდა.

***– ზედმეტი შტატების შემცირება რაიმე კონკრეტული დადგენილი წესით, ახალი საშტატო განრიგის შესაბამისად არ ხდება?***

– იმდენია ზედმეტი, დღეს სამსახურში ტყუილად რომ დადის... თავს დავდებ, ვერავინ იტყვის ჩემზე, რომ არ ვმუშაობდი, ჩემს მოვალეობას არ ვასრულებდი. ყველა სამსახურში, სადაც ვმუშაობდი, კარგად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას.

***– თქვენი მუშაობის პერიოდში შენიშვნა და საყვედური ხომ არ გაქვთ მიღებული?***

– პირიქით, მადლობა მაქვს მიღებული 2015 წელს, ბატონ მინდია ჯანელიძის დროს. მაშინ მადლობა გამომიცხადეს სისტემატიურად კარგად მუშაობისთვის.

***– რა სპეციალობა გაქვთ?***

– მე ვარ იურისტი, ჯანელიძე კი ფინანსისტია.

***– თქვით, კადრების განკარგულებაში ვარო. იქნებ გასაქმებდნენ?***

– შეიძლება, მაგრამ სარდალთან რამდენჯერმე ვისაუბრე და მითხრა, შეიძლება არაფერი გამოვიდესო. ჰაერში დავრჩი.

***– თქვენ თქვით, უწყებაში ბევრი უსაქმურია და სამსახურში ტყუილად დადისო. თუ არ ვცდები, თავდაცვის ბიუჯეტის დაახლოებით 66-68% სწორედ ხელფასებზე და უწყების მომსახურე პერსონალის შენახვაზე იხარჯება. თქვენი აზრით, რამდენი კაცია გასაშვები?***

– ნახევარი, რადგან ნახევარი არაფერს აკეთებს.

***– ახლა რამდენს უშვებენ?***

– ახლა იმას ტოვებენ, ვინც არაფერს აკეთებს. ვინც მუშაობს, იმას უშვებენ.

***– იმ ნახევარში თქვენ უნდა იყოთ, ვინც დარჩა?***

– ვფიქრობ, სამსახურში დატოვებას ვიმსახურებ.

◆ ◆ ◆

აკაკი ტატუნაშვილის საქმე შეისწავლა სამხედრო უფლებადამცველმა **დავით ნემსაძემ.**

– არაოფიციალური გასაუბრებებიდან (როგორც გააკეთა ლოჯისტიკის სარდალმა, ბატონმა ლოლაძემ და ჭიღლაძემ, რომელიც დე იურე მოქმედებს კადრების საქმეში) ირკვევა, რომ ადამიანებს უშვებენ სამსახურებიდან. ეს არის დამღუპველი, – ამბობს დავით ნემსაძე.

მისი შეფასებით, რეორგანიზაცია ასე არ ხდება. ეს უფრო ჰგავს სისხლის სამართლის დანაშაულს.

– ეს არის ამ ადამიანის დევნა სამსახურიდან. მას გაუჟღერეს იმ სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის აზრი, რომელიც მის წინააღმდეგაა განწყობილი, რომ მას სამსახურში აღარ დატოვებენ.

ტატუნაშვილს აქვს განცდა, რომ ექცევიან უსამართლოდ, როგორც ომის ვეტერანს, 3 შვილის მამას, როგორც კონფლიქტის ზონიდან დევნილს. სამწუხაროდ, არც ამას და არც მის პროფესიონალიზმს ყურადღება არ ექცევა.

ჩვენ ვიბრძვით მისი უფლებების დაცვისთვის. მე გავაგზავნე წერილი. პასუხი ჯერ არ მოსულა. თავდაცვის უწყება არღვევს ყველანაირ ადმინისტრაციულ ნორმას, – აცხადებს დავით ნემსაძე.

# სერგი კაპანაძე: „4 მინისტრი უსიტყვოდ არის მოსახსნელი“



საპარლამენტო ფრაქცია „ევროპული საქართველო უკეთესი მომავლისთვის“ წევრის სერგი კაპანაძის განცხადებით, ამჟამად ერთდროულად ოთხი მინისტრია თანამდებობიდან მოსახსნელი.

როგორც კაპანაძემ ფეისბუქის პირად გვერდზე დაწერა, მოსახსნელია იუსტიციის, შინაგან საქმეთა, ენერგეტიკისა და ფინანსთა მინისტრები.

– იშვიათად არის ხოლმე, რომ ერთი თვის განმავლობაში ოთხი მინისტრი




იყოს ისე უსიტყვოდ მოსახსნელი, როგორც ახლაა საქართველოში: იუსტიციის მინისტრი – სტრასბურში ჩაგდებული მოსამართლეების სიისთვის; შსს მინისტრი – ცერცვაძის და მაისურაძის საქმეებისთვის და ყალბი სტატისტიკისთვის; კალაძე – გაზპრომთან შეთანხმებისთვის; ქუმსიშვილი – დედოლარიზაციის უაზრო და მავნებლური პაკეტისთვის, – წერს კაპანაძემ.

**მედიანიუსი**

# „მე არ ვიცი, რაში დასჭირდა დავით ბაქრაძეს სახელმწიფო დაცვა“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ არის რუსეთთან დიალოგი აუცილებელი, როგორ ხვდებიან საპარლამენტო უმრავლესობაში განსხვავებულ აზრს, რატომ დაუნიშნეს დავით ბაქრაძეს დაცვა, რა მისიით წავიდა უზბეკეთში? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ საპარლამენტო ფრაქცია „მრეწველები – ქართული ოცნების“ თავმჯდომარე სიმონ ნოზაძე ესაუბრება.

***– თქვენ წლების მანძილზე იყავით სახელმწიფო დაცვის სამსახურის მაღალჩინოსანი და კარგად იცით, როგორ ხდება ამა თუ იმ ადამიანისთვის სახელმწიფო დაცვის დანიშვნა. უნდა დაენიშნათ თუ არა დეპუტატ დავით ბაქრაძისთვის სახელმწიფო დაცვა?***

– დავით ბაქრაძისთვის დაცვის დანიშვნის შესახებ მე საქმის კურსში არ ვარ. მასთან საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ამ თემაზე არ გვისაუბრია.

***– მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, მას გასული წლის 30 დეკემბერს დაუნიშნა პრემიერმა სახელმწიფო დაცვა. რა შემთხვევაში უნიშნავენ ამა თუ იმ პირს დაცვას?***

– ამ საკითხის განხილვა ხდება მთავრობის მიერ. მთავრობა ადგენს დასაცავი პირების და ობიექტების სიას. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური ამ პირებს და ობიექტებს იცავს.

***– მთავრობა თუ გადაწყვეტს, ნებისმიერ პიროვნებას დაენიშნება სახელმწიფო დაცვა?***

– მთავრობას შეუძლია ნებისმიერი ადამიანი შეიყვანოს დასაცავი პირების სიაში. ბაქრაძე რატომ მოხვდა ამ სიაში ან რატომ დასჭირდა მას დაცვა, ეს ნამდვილად არ ვიცი.

***– თქვენ ცოტა ხნის წინ იყავით უზბეკეთში. იქიდან დაბრუნებულმა განაცხადეთ, რომ თემურ ლენგის მიერ საქართველოდან გატანილი ბიბლიოთეკის ფრაგმენტებს ეძებდით, რამაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ბევრმა ამ საკითხზე იხალისა კიდევაც. შეგიძლიათ, უფრო დეტალურად გვითხრათ, რა ხდება?***

– რა იყო ამაში სახალისო? მიმაჩნია, რომ ცუდი არაფერი გამიკეთებია. ამ დღეებში ვიმყოფებოდი უზბეკეთში, სადაც იქაური პარლამენტის წევრებს შევხვდი. შეხვედრები მქონდა ჩემს



## სიმონ ნოზაძე: „რუსეთთან დიალოგის დაწყება დათმობაზე წასვლას არ ნიშნავს“

ყოფილ კოლეგებთან უშიშროებიდან.

ამ ეტაპზე იმის თქმა, რომ 1386 წელს თემურ ლენგის მიერ გატანილ ბიბლიოთეკას მივაგნებ, გადაჭარბებული ნათქვამია, მაგრამ რაღაც ფრაგმენტებს ალბათ ვიპოვით. ამ საქმეში აქტიურად არიან ჩართული ისტორიკოსი ზაზა აბაშიძე და უზბეკეთში ჩვენი ელჩი კოტე ჟღენტი.

უზბეკეთში ბევრი ნაცნობები მყავს და ჩემი კავშირებით ჩვენს ისტორიკოსებს დავეხმარები, რომ სხვადასხვა არქივებში დაუშვან სამუშაოდ. ეჭვიც არ მეპარება, რომ ისინი ბევრ საინტერესო მასალას იპოვიან. უზბეკებს საკმაოდ მდიდარი არქივი აქვთ და იქ, შესაძლოა, საქართველოზე ბევრ საინტერესო ინფორმაციას და მასალას წავაწყდეთ.

***– თემურ ლენგის მიერ წაღებულ ბიბლიოთეკაზე არანაკლები აჟიოტაჟი მოჰყვა რუსეთთან დაკავშირებით თქვენ მიერ გაკეთებულ განცხადებას. ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ რუსეთთან დიალოგის აუცილებლობაზე ისაუბრეთ.***

– ახლაც გავიმეორებ ამას – მე რუსეთთან დიალოგის მომხრე ვარ და ამაში სააჟიოტაჟოს ვერაფერს ვხედავ.

***– საზოგადოების ნაწილს არც ის მოეწონა, რომ გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულება არ დაგმეთ.***

– ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით მე ჩემი აზრი მაქვს. გაზპრომთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებას ორი მხარე აწერს ხელს, საქართველო და რუსეთი. კარგი იქნებოდა, ყველაფერი ისე იყოს, როგორც შენ გინდა, მაგრამ, როცა მოლაპარაკება ორ მხარეს შორის მიდის, მისი პირობებიც უნდა გაითვალისწინო. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა და რაღაც დოზით მოგვიწია რუსული მხარის პირობების გათვალისწინება.

***– რუსეთთან დიალოგის თემას დავუბრუნდეთ, თქვენი აზრით, რუსულ მხარეს უნდა თბილისთან დიალოგი?***

– დიალოგი რუსეთსაც უნდა. ამაზე განცხადებები გააკეთეს როგორც პრეზიდენტმა, ასევე დუმის წევრებმა. აღარაფერს ვამბობ რუსეთის მოქალაქეებზე. როცა დიალოგზე ვსაუბრობთ, ყველას ჰგონია, რომ მივუჯდებით თუ არა მოლაპარაკებების მაგიდას, ეგრევე ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე დავიწყებთ საუბარს.

***– აბა რაზე უნდა ველაპარაკოთ რუსეთს?***

– თავიდან ის უნდა გავარკვიოთ, ერთმანეთისგან რა გვწყინს და ამის შემდეგ დავიწყოთ მთელი რიგი საკითხების განხილვა.

***– რუსეთმა არ იცის, რა გვწყინს მაგათგან?***

– პირდაპირ ამის შესახებ რუსეთთან არ გვილაპარაკია. მათ სათქმელს ჩვენი დასავლელი პარტნიორების და მეგობრების დახმარებით ვეუბნებით. პირდაპირ თუ ვეტყვით, უკეთესი იქნება. როცა დიალოგის აუცილებლობაზე ვსაუბრობდი, ეს მქონდა მხედველობაში.

რაც შეეხება შედეგს, წინასწარ ამის განსაზღვრა ძალიან ძნელია. დიალოგის შედეგი დამოკიდებულია მის მონაწილეებზე. პოლიტიკა ზოგადად დიალოგების და კომპრომისების ხელოვნებაა.

***– ამ განცხადების გამო უმრავლესობაში პრობლემა არ შეგქმნიათ. წინა წლებში თქვენი***



***პარტიის ლიდერი გოგი თოფაძე არაერთხელ დაგმეს იმის გამო, რომ ის რუსეთთან დიალოგს უჭერდა მხარს.***

– ბატონ გოგის რუსეთთან დიალოგის სურვილის გამო არ უპირისპირდებოდნენ. ის ხატოვან გამონათქვამებს ხმარობდა და ამის გამო საყვედურობდნენ. ერთხელ არასწორი ტერმინიც გამოიყენა და ეს იყო სულ.

ჩემთან დაკავშირებით არანაირი საყვედური არ ყოფილა, ამასთან საპარლამენტო უმრავლესობისთვის ჩემი პოზიცია ცნობილია. როდესაც დეპუტატი გავხდი, ერთ-ერთი პირველი განცხადება ამ თემაზე გავაკეთე. აღვნიშნე, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არავითარ გადახედვას არ ექვემდებარება და მის მოგვარებაზე უნდა დაშენდეს ქართული პოლიტიკა.

ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე არც მე ვაპირებ დათმობაზე წასვლას, მაგრამ მგონია, რომ დიალოგი აუცილებლად უნდა გაიმართოს რუსეთთან. დიალოგი დათმობაზე წასვლას არ ნიშნავს და რადგანაც დიალოგზე ვსაუბრობთ, ის ყველასთან უნდა ვაწარმოოთ, როგორც ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებთან, ასევე სტრატეგიულ პარტნიორებთან.

# ბავშვს ჩაქცევები და ნაკაწრები აღენიშნება, მასწავლებელმა მცემაო

## რა მოხდა 153-ე საბავშვო ბაღში

თბილისის 153-ე ბაღის ერთ-ერთი აღსაზრდელის მშობლის მტკიცებით, მის შვილს მასწავლებელმა სცემა. ბავშვის დედა ოლიკო თითიაშვილი აცხადებს, რომ სამართალდამცავებს მას შემდეგ მიმართა, რაც შვილის სხეულზე სილურჯეები შეამჩნია.

თავის მხრივ, საპატრულო პოლიციამ მშობელთან ერთად არასრულწლოვანი იაშვილის კლინიკაში გადაიყვანა. მედიკოსები ამბობენ, რომ ბავშვს კისრისა და სახის არეში ზედაპირული დაზიანებები ნამდვილად აღენიშნებოდა, თუმცა ექიმებს უჭირთ იმის თქმა, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული დაზიანებები.

– მასწავლებელმა გამომიყვანა ბავშვი და მითხრა – ოლიკო, ბავშვს ალერგია ხომ არ აქვსო, ნაკაწრები აქვს და ჩაქცევებიო. თვითონვე მიჩვენა ბავშვის სხეულზე არსებული დაზიანებები. სახლში რომ მივედი, დავეჭვდი. პატრული გამოვიძახე, პოლიციაში წავედით, შემდეგ პოლიკლინიკაში გადაგვიყვანეს. ბავშვმა პირდაპირ თქვა, თამუნა მასწავლებელმა მცემაო. ჩაქცევები ჰქონდა ყურის ბიბილოშიც, – აცხადებს მშობელი.

აღმზრდელი მედიასთან კომენტარს არ აკეთებს, მასწავლებელი მხოლოდ იმას ამბობს, რომ ბავშვი არ უცემია.

153-ე ბაღის საქმის მწარმოებელმა ნიუპოსტს განუცხადა, რომ მათ ჯგუფებში ვიდეო-კამერები დამონტაჟებული არ აქვთ, შესაბამისად უცნობია, რა მოხდა გაკვეთილის მიმდინარეობისას.




– მიმდინარეობს მოკვლევა, სხვას ვერაფერს გეტყვით, მასწავლებელი უარყოფს ბავშვის ცემის ფაქტს, – აღნიშნეს ბაღში.

ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში ფაქტზე მოკვლევა დაიწყო. მასწავლებელი სააგენტოში უკვე დაიბარეს.

გამოძიება დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომაც. როგორც ნიუპოსტს უწყებაში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილის პრიმა მუხლით დაიწყო, რაც არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილ დანაშაულს გულისხმობს.

# სოსო რობაქიძე დააკავეს და გამოუშვეს

გუშინ, 25 იანვარს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისში თაბუკაშვილის ქუჩაზე ბუტა რობაქიძის მამა, სოსო რობაქიძე დააკავეს. მასთან ერთად დაკავებული იყო მისი ძმა ვასიკო რობაქიძეც. ორივე მათგანი თაბუკაშვილზე პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

გუშინვე შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს ინფორმაცია უარყო.

– გავრცელდა ინფორმაცია ორი პირის დაკავების შესახებ, თუმცა არც ერთის დაკავება არ დასტურდება, – აღნიშნეს შსს-ში.

თავად სოსო რობაქიძემ მისი დაკავების ფაქტი დაადასტურა.

– დაკავებული ვიყავი ნამდვილად. ახლა გამომიშვეს პოლიციიდან. მიზეზი არც მე არ ვიცი ჯერ. ბუნებრივია, შსს ამ ფაქტს არ დაადასტურებს,



თვითონაც არ იციან, რა გააკეთეს, – განაცხადა სოსო რობაქიძემ საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბრისას.

# მტკვარზე მაშველებმა მანეკენი დახრჩობას გადაარჩინეს

გუშინ თბილისში კურიოზი მოხდა.

მოქალაქემ საპატრულო პოლიციას ცხედრის არსებობის შესახებ შეატყობინა, რომელიც მან სანაპიროზე შენიშნა. ადგილზე მობილიზებული იყო სამაშველო და სასწრაფო დახმარების ბრიგადები.

ნიუპოსტის კორესპონდენტი ფაქტს შეესწრო. აღმოჩნდა, რომ მაშველებმა ადამიანი კი არა, მანეკენი გადაარჩინეს და მათ მანეკენის წყლიდან ამოყვანისას, ხელში მისი ქვედა კიდურები შერჩათ.

# სკოლის საქმის მწარმოებელმა პედაგოგებს სცემა

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტუზაძეების საჯარო სკოლაში საქმის მწარმოებელმა პედაგოგებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

სკოლაში საპატრულო პოლიცია იყო გამოძახებული.

როგორც ნიუპოსტს შსს-ში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ცემას ან სხვაგვარ ძალადობას გულისხმობს, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია.

# მსუბუქი ავტომობილი მოტოციკლს დაეჯახა

ვარაზისხევში, მსუბუქი ავტომობილი სადისტრიბუციო მოტოციკლს დაეჯახა.

მოტოციკლეტის დაშავებული მძღოლი სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.




**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ბაზარზე სოიოს ყველი ნატურალური ყველის სახელით იყიდება

## „სურსათი შეიძინეთ იქ, სადაც მას ეტიკეტირება აქვს“

ქართულ ბაზარზე სოიოს ყველი ნატურალურის გვერდით იყიდება და მათი ერთმანეთისგან გარჩევა არც ისე ადვილია.

რა უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენც არ მოვტყუვდეთ და ანალოგიურ სიტუაციაში არ აღმოვჩნდეთ? ამ შეკითხვით ბიზნესპრესნიუსმა **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, სურსათის ექსპერტ ეთერ სარჯველაძეს მიმართა.**

– ამდენი წელია ამ სფეროში ვმუშაობ და მეც კი გამიჭირდება სოიოს ყველის ნამდვილისგან გარჩევა. სოიოს ყველს ძირითადად მარხვაში მიირთმევენ, როცა ადამიანს რძის პროდუქტი ენატრება. რა თქმა უნდა, მისი ერთჯერადად, ან რამდენჯერმე მიღებით არაფერი დაშავდება, მაგრამ სოიოს ყველის ხშირად მიღება არ არის სასურველი.



ეთერ სარჯველაძე

ამის მიზეზია ის, რომ სოიო რთულად ასათვისებელ ცხიმებს შეიცავს, განსხვავებით ჩვეულებრივი რძისგან, რომელშიც გაცილებით იოლად ასათვისებელი ცხიმები შედის.

თავისთავად სოიო ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი პროდუქტია, თუმცა ადამიანის ორგანიზმი მას საკმაოდ რთულად ითვისებს. ამიტომ მისგან დამზადებული ყველი ვერასოდეს



შეცვლის ნატურალურ ყველს, ის ვერასოდეს იქნება იმ ხარისხისა, როგორიც ჩვეულებრივი რძისგან მიღებული ყველია, – აღნიშნა ეთერ სარჯველაძემ.

სურსათის ექსპერტის თქმით, ჩვეულებრივი ყველის მიღებისას ადამიანი კალციუმის საკმაოდ დიდ დოზას იღებს, სოიოს ყველში კი კალციუმი არ არის, ამიტომ მისი კვებითი ღირებულება გაცილებით დაბალია.

– გარდა ამისა, გაურკვეველია, როგორ და რისგან დამზადდა სოიოს ყველი, მასში შეიძლება იყოს ემულგატორები და სხვა ნივთიერებები, არც ის ვიცით, დედოს ნაცვლად რა ნივთიერება გამოიყენეს. როგორც კარაქისგან დამზადებული პროდუქტი სულ სხვა ხარისხისაა და მარგარინისგან დამზადებული – სულ სხვა, ასევეა ამ შემთხვევაშიც. კარაქზე დამზადებული საკვები სასარგებლოა, მარგარინზე კი – ნაკლებად.

სოიოს ნაწარმი ხშირად გენმოდიფიცირებულია და იგივე ხომ არ ვრცელდება ყველზე? ეს სულ სხვა, ცალკე განსახილველი თემაა. სწორედ ამიტომ, მე მივესალმები, რომ სურსათის უვნებლობის სააგენტომ ეტიკეტირების წესის შემოწმება ბოლო ხანებში ძალიან გაააქტიურა, – განაცხადა ეთერ სარჯველაძემ.

მისი თქმით, ადამიანმა ხორცი, ყველი და სხვა მალფუჭებადი პროდუქტები ქუჩაში არ უნდა იყიდოს.

◆ ◆ ◆

იგივეს ამბობს **სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ანა გემაზაშვილიც.**

– ვიზუალურად სოიოს ყველს ნამდვილისგან ვერავინ გაარჩევს, თანაც, ის უფრო იაფია, ვიდრე ნატურალური რძისგან დამზადებული, ამიტომაც ყიდულობენ. თუმცა ერთი რამ უნდა გვახსოვდეს:

ქუჩაში ნაყიდ ყველს არ მოჰყვება სერტიფიკატი, რომელიც მის ვარგისიანობას ადასტურებს.

ჩვენ უკვე გვაქვს ტექნიკური რეგლამენტი რძისა და რძის პროდუქტების შესახებ, რომლითაც განსაზღვრულია, რომ თუ რძის პროდუქტი მცენარეულ ცხიმს შეიცავს, მის დასახელებაში არ შეიძლება იყოს გამოყენებული არც ერთი სიტყვა, რომელიც რძის პროდუქტზე მიანიშნებს, – აღნიშნა ანა გემაზაშვილმა.

მაგალითად, არ შეიძლება პროდუქტს ერქვას ყველი და მის შემადგენლობაში იყოს სოიოს ცხიმი, ან რომელიმე მცენარეული ცხიმი. აქედან გამომდინარე, თუ მაღაზიაში, ან სუპერმარკეტში სოიოს ყველი იყიდება, მის ეტიკეტზე არ უნდა ეწეროს სიტყვა „ყველი“. მას უნდა ეწეროს „რძის შემცველი პროდუქტი“, ხოლო ინგრედიენტებში უნდა იყოს ზუსტი ჩამონათვალი, რისგანაც ის შედგება.

– სოიის ყველი არის სამარხვო პროდუქტი, რომელიც თავისი გემოთი მიმგავსებულია ყველთან. დამზადების თარიღიდან დაწყებული, მისი შემადგენლობით დამთავრებული – ეტიკეტზე ყველაფერი უნდა ეწეროს, – განაცხადა ანა გემაზაშვილმა.

სურსათის ეროვნული სააგენტო უკვე რამდენიმე წელია, რუტინულად ამოწმებს, რამდენად შეესაბამება ეტიკეტზე დატანილი ინფორმაცია სურსათის შიგთავსს, თუმცა ეს არ ვრცელდება ქუჩაში, კერძო პირების მიერ გამოტანილ პროდუქციაზე.



ანა გემაზაშვილი

– შემოწმებისას ვითვალისწინებთ ყველაფერს, ვიღებთ ადგილობრივ ბაზარზე გასაყიდი რძის პროდუქტების ნიმუშებს, ვაგზავნით აკრედიტებულ ლაბორატორიაში და ვიკვლევთ, შეიცავს თუ არა მცენარეულ ცხიმს.

თუკი ეტიკეტზე დატანილ ინფორმაციასა და პროდუქტის შიგთავსს შორის შეუსაბამობაა, ამ შემთხვევაში მწარმოებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით ჯარიმდება. ამიტომ, მთავარია, მომხმარებელმა ეტიკეტი მოითხოვოს და ყურადღებით წაიკითხოს, – აღნიშნა ანა გემაზაშვილმა.

თუ პროდუქტი შეფუთული არ არის, მაშინ მომხმარებელმა უნდა მოითხოვოს საბუთი ან ინფორმაცია მისი შემადგენლობის შესახებ.

– როდესაც სურსათს კერძო პირისგან ყიდულობთ, ამ ინფორმაციას ვერ მოიპოვებთ და არც გეცოდინებათ, რას ყიდულობთ, ამიტომ მომხმარებელს კიდევ ერთხელ ვაფრთხილებთ – სურსათი შეიძინეთ იქ, სადაც მას ეტიკეტირება აქვს, სადაც მის შემადგენლობას არ მალავენ და სადაც ელემენტარული ჰიგიენური ნორმები მაინც არის დაცული. ეს, რა თქმა უნდა, რძის ნაწარმსაც ეხება, – განაცხადა ანა გემაზაშვილმა.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

# საქართველოში ახალგაზრდების 62%-ს მშობლები არჩენენ

საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების 62% ფინანსურად მშობლებზეა დამოკიდებული. ამის შესახებ ფრიდრიხ ებერტის ფონდის კვლევაში „თაობა გარდამავალ პერიოდში“ არის ნათქვამი.

კვლევის თანახმად, ახალგაზრდების 27%-სთვის შემოსავლის წყაროს პირადი ანაზღაურება წარმოადგენს, მათ შორის ხელფასი. კვლევაში მონაწილეთა 14% აცხადებს, რომ მას პარტნიორი (მეუღლე, პარტნიორი გოგო/ბიჭი) არჩენს. გამოკითხული ახალგაზრდების 8% აცხადებს, რომ მათ ფინანსურ შემოსავალს მშობლებისგან ან ნათესავებისგან მიღებული თანხა წარმოადგენს. 7%-ის თქმით, მისი შემოსავალი ოჯახის პენსიაა.

კვლევის მიხედვით, ახალგაზრდების ხარჯების დიდი ნაწილი მიმდინარე კრედიტების დაფარვაზე მოდის.

ახალგაზრდების 20% მიმდინარე კრედიტს იხდის, რომლის საშუალო თვიური ხარჯი 190 ლარს შეადგენს. ასეთი ხარჯები განსაკუთრებით მაღალია თბილისის გარდა, სხვა ქალაქებში მცხოვრები რესპონდენტებისთვის.

სიდიდით მეორე ხარჯი, საშუალოდ, 110 ლარი თვეში, მოგზაურობაზე მოდის, ხოლო ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის საყიდლად და სიგარეტისთვის ყველა კატეგორიის ხარჯი თვეში საშუალოდ 80 ლარია.

ახალგაზრდები გართობაზე თვეში საშუალოდ 60 ლარს ხარჯავენ და ეს ხარჯი მოიცავს, როგორც კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებას, ასევე მეგობრების შეკრებებსაც, ხოლო მათი ყოველდღიური გადაადგილების სატრანსპორტო ხარჯი თვეში დაახლოებით 55 ლარია.

სახლის გარეთ კვება თვეში საშუალოდ 42 ლარს შეადგენს. წიგნების შესაძენად, მობილურისა და სილამაზის სალონის ხარჯებისთვის ახალგაზრდები თავიანთი ბიუჯეტის ყველაზე მცირე წილს ხარჯავენ.

კვლევის მიხედვით, შედარებით მაღალი შემოსავლიდან გამომდინარე, ტრანსპორტზე, გართობაზე, გარეთ ჭამასა და სიგარეტზე ახალგაზრდა მამაკაცები უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე ქალები.

ერთადერთი ხარჯი, რომელიც ახალგაზრდა ქალებისთვის უფრო მაღალია, ვიდრე ამავე ასაკის მამაკაცებისთვის, სილამაზის სალონის ხარჯებია.

დასაქმებულ ახალგაზრდებს უფრო მაღალი დანახარჯები აქვთ. ხარჯების მოცულობა ასევე მაღალია მონაწილეებისთვის, რომლებიც მაღალ სოციალურ ფენას მიეკუთვნებიან. ხარჯები ასევე იზრდება ასაკთან ერთად.

კვლევის მიხედვით, ახალგაზრდების 70% თავის მშობლებთან ერთად ცხოვრობს. მშობლებზე დამოკიდებულების ხარისხი ასაკის ზრდასთან ერთად იკლებს.

14-18 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ახალგაზრდების 90% ცხოვრობს მშობლებთან ერთად. საშუალო ასაკობრივ კატეგორიაში (19-24 წელი), ეს მაჩვენებელი 67%-ია, ხოლო 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტების მხოლოდ 52% ცხოვრობს მშობლებთან ერთად.

ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ კვლევა „თაობა გარდამავალ პერიოდში“ 2016 წლის მაისი-ივნისის პერიოდში ჩატარდა.

იგი ქვეყნის მასშტაბით 14-29 წლის ახალგაზრდებს მოიცავს.

**ბიპიენი**

# მიკროსაფინანსოების რაოდენობა 80-მდე გაიზარდა

ხელისუფლების მიერ ონლაინ სესხებზე დაწესებული რეგულაციების შემდეგ, მათი ნაწილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციად გადაკეთდა.

ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემებით, დეკემბერში ბაზარზე მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა 80-მდე გაიზარდა. ნოემბერში მიკროსაფინანსოების რაოდენობა 73 ერთეულს შეადგენდა.

ონლაინ სესხების მიკროსაფინანსოებად გადაკეთებაზე საუბრობს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძეც.

მისი განცხადებით, გარკვეული რაოდენობის ონლაინ სესხების გამცემი ინსტიტუტები მიკროსაფინანსო ორგანიზაციებად გადაკეთდა, დანარჩენი კი ამ სტატუსის გარეშე აგრძელებს მუშაობას.

როგორც კობა გვენეტაძემ აღნიშნა, ონლაინ სესხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები ძალაში უკვე შევიდა. მისივე თქმით, აღნიშნულის შემდეგ ეროვნულ ბანკს დაევალა, გამოეცა შიდა ნორმატიული აქტები, რომელთა მიხედვითაც იმ დეტალების განმარტება მოხდა, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრასა და ჯარიმებს ეხება.

კობა გვენეტაძის თქმით, აღნიშნული დოკუმენტი უკვე გამოცემულია და განმარტებულია, თუ როგორ უნდა მოხდეს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება.





„გარკვეული რაოდენობის ონლაინ სესხების გამცემი ინსტიტუტები გადაკეთდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებად, დანარჩენი კი ამ სტატუსის გარეშე აგრძელებს მუშაობას. ამ საკითხთან დაკავშირებით თუკი რაიმე განმარტებაა საჭირო, ეროვნული ბანკი მზადაა, გააკეთოს.

იმ ონლაინ სესხების გამცემ ორგანიზაციებთან, რომლებიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებად გადაკეთ-



და, ჩვენ გვაქვს კავშირი. ვაკვირდებით, თუ როგორ ხდება პროცენტის დათვლა, რა პროცენტით გაიცემა სესხები. ონლაინ სესხებზე ფიქსირდებოდა ძალიან მაღალი პროცენტები და იმ გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც მთავრობამ მიიღო, გარკვეული ზღვარი დაწესდა, – განაცხადა კობა გვენეტაძემ.

**„კომერსანტი“**

# თემურ ჭყონია წარმოებას აფართოებს და ნატახტარში გადადის



კომპანია კოკა-კოლა საქართველოში წარმოებას აფართოებს და ამ მიზნით ქარხანა ნატახტარში გადადის.

როგორც ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას თემურ ჭყონიამ განაცხადა, გაფართოების პროცესი უკვე დაწყებულია და ქარხნის დიდუბიდან ნატახტარში გადასვლის პროცესი 2018 წლის ბოლოს დასრულდება.

– პროექტირება დაწყებულია, მიმდინარეობს მონიტორინგი, თუ რა დანადგარები გვჭირდება დამატებით. პროექტზე ფრანგული კომპანია „ჟებო“ მუშაობს, რომელიც მსოფლიოში კოკა-კოლის ქარხნებისთვის პროექტებს აკეთებს.

სათავო კომპანიამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ჩვენ ზოგიერთი პროდუქტისა და შეფუთვის ექსპორტიორი უნდა გავხდეთ ისეთ ქვეყნებში, სადაც ამ პროდუქციის წარმოება არ შეიძლება. აქედან გამომდინარე ის ახალი დანადგარები, რომლებიც დამატებით გვჭირდება, ძველ ქარხანაში აღარ ეტევა. ძალიან დიდი ქარხანა გვჭირდება, შენობის ქვეშ დაახლოებით 15 ათასი კვადრატული მეტრი იქნება. ინვესტიცია კი დაახლოებით 10 მილიონ ევრომდე იქნება, – განაცხადა თემურ ჭყონიამ.

ბიზნესმენის თქმით, კოკა-კოლას ძველი შენობა გაიყიდება.

– ძველ შენობასთან დაკავშირებით ორ უცხოურ, უძრავი ქონების საინვესტიციო კომპანიასთან ხელშეკრულებას ვაფორმებთ, რომლებიც შემოგვთავაზებენ წინადადებას, თუ როგორ მოვიქცეთ ძველ ტერიტორიასთან დაკავშირებით. ძველი შენობა ჩვენს მფლობელობაში აღარ იქნება. მის ადგილას ინვესტიციისა და წინადადების მიხედვით რაიმე ახალი აშენდება. ვფიქრობ, რომ დიდუბის ცენტრში ქარხანა არ უნდა იყოს, – განაცხადა თემურ ჭყონიამ.

საწარმოს გაფართოების გარდა, ბიზნესმენის თქმით, 15%-ით იზრდება ენერგეტიკული სასმელის ექსპორტი აზერბაიჯანსა და სომხეთში. პირველი პარტია თებერვალში გაიგზავნება და მისი ღირებულება 200.000 დოლარია.

თემურ ჭყონია აპრილში ბაზარზე ახალ წვენებსაც გამოუშვებს. მათ შორის იქნება ალუბლის წვენი, ვიტამინიზებული სასმელი, ტროპიკი პალმით და ნატურალური წვენი.

წვენები როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე ექსპორტზე, მეზობელ ქვეყნებში გაიყიდება.

**თათია ახვლედიანი, ბიპიენი**

# „ნასვამ მძღოლს 5 წლით უნდა ჩამოართვან მართვის მოწმობა“

## შალვა ხაჭაპურიძე კანონმდებლობის გამკაცრებას ითხოვს

ნონა ცაბაძე





**ავტოსაგზაო შემთხვევები ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურობაა. დღე არ გავა, რომ ავტოავარიას რამდენიმე ადამიანი არ ემსხვერპლოს. სტატისტიკა საგანგაშოა. საზოგადოება ხელისუფლებას ზომების მიღებისკენ მოუწოდებს და კანონის გამკაცრებას ითხოვს.**

„ახალი თაობის“ კითხვებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იურისტი, უფლებადამცველი, შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

***— ბატონო შალვა, მხოლოდ იანვრის თვეში, ავტოავარიის შედეგად 25 ადამიანი დაიღუპა. დღე არ გავა, რომ გზებზე რამდენიმე ავარია არ დაფიქსირდეს. რა ხდება? სად არის პრობლემა?***

— სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თემაა. პირველ რიგში, სტატისტიკა, რომელიც საგანგაშოა, უნდა გამოვიდეს ფართო მასებისთვის გასაცნობად. ყველა საინფორმაციო საშუალებებში უნდა გაჩნდეს რუბრიკა, სადაც ყოველდღიურად მოხდება ამ თემების გაშუქება. აუცილებელია აგიტაციის ჩატარება საზოგადოებისთვის, თუ რამდენად საფრთხილო და საშიშ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

***— კანონის გამკაცრებაზე რას იტყვით?***

— აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის შეცვლა, ახალი რეგულაციების მიღება. გასამკაცრებელია სანქციები. ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში 4-დან 7 წლამდეა სანქცია და 1 აბი ბიონარკოტიკი რომ უპოვონ ადამიანს, იქ 8 წლიდან იწყება საპატიმრო სანქცია. ეს წარმოუდგენელი მოვლენაა, ამის შედარება ხომ წარმოუდგენელია.

***— ანუ ხარვეზებია კანონში?***

— გადასახედია სისხლის სამართლის კოდექსი. ამ საკითხს პარლამენტი უნდა მიუდგეს უფრო სერიოზულად და ამან ასახვა უნდა ჰპოვოს სისხლის სამართლის კოდექსში. საკმაოდ მკაცრი უნდა გახდეს სასჯელები ამ კატეგორიის დანაშაულზე. სულ გვესმის საუბრები, რომ ახალი რეგულაციები უნდა შემოვიდეს მართვის მოწმობებთან დაკავშირებით, ამას უკვე ვისმენთ რამდენიმე წელია, მაგრამ ამ კუთხით არაფერი შეცვლილა. სწორედ ეს იწვევს ამ უბედური შემთხვევების უმეტესობას.

***— ეს არის მძღოლების უპასუხისმგებლობა თუ კანონის სისუსტე?***

— ჩვენთან ხომ კანონის გაგებაც სხვაგვარად ვიცით. დემოკრატიული სახელმწიფო ვართ და რად გვინდა კანონები, ამ დროს კი დემოკრატიული სახელმწიფო სწორედ კანონების დაცვით შენდება. კანონის უზენაესობა და კანონის ბატონობაა დემოკრატია, ჩვენ კი გვინდა, რომ კანონებზე ვიბატონოთ. შედეგად კი ვიღებთ იმას, რასაც ვიღებთ.

კომპლექსური მიდგომაა საჭირო და ეს არ უნდა იყოს ეპიზოდური, ერთ ან ორკვირიანი ღონისძიებანი. ალბათ მრავალწლიანი მუშაობა იქნება საჭირო, რათა ქართველის მენტალიტეტში და მის აზროვნებაში მკაცრად ჩაჯდეს, რომ სერიოზულ დანაშაულთან გვაქვს საქმე. ასევე გასააქტიურებელია საპატრულო სამსახურის მუშაობა. ამ საკითხში ასევე აქტიურად უნდა ჩაერთონ განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროები.

***— გასულ ღამეს რუსთაველის გამზირზე ავარიას გოგონას სიცოცხლე ემსხვერპლა. დედაქალაქის ქუჩებში ხომ მაინც უნდა იყოს მკაცრი კონტროლი?***

— ყოველდღიურად მიწევს დილომში, საქალაქო სასამართლოში სიარული. დღე არ გავა, რომ გზად 2 ან 3 ავტოავარია არ შემხვდეს. მსგავსი რამ, რაც ჩვენთან ხდება, არსად არაა. რადგან ერი თავისი ნებით ვერ გაიზარდა, ვერ გახდა კანონმორჩილი, როდემდე უნდა ვუცადოთ, რომ აღარ მოუნდება ამ ერს, აღარ მოკლას ქუჩაში მეორე ადამიანი, აღარ მოუნდება, ნასვამი დაჯდეს საჭესთან. რადგან არ არის კეთილი ნება, მაშინ საჭიროა, კანონის ძალით ვაიძულოთ!

გავამკაცროთ კანონი! დამიჯერეთ, ასეთ შემთხვევაში 2-3 წელიწადში აბსოლუტურად განსხვავებულ სურათს მივიღებთ. სიმთვრალეს რაც შეეხება, აქ საუბარი ზედმეტია, ასეთ შემთხვევაში მძღოლს, მინიმუმ, 5 წლით უნდა ჩამოართვა მართვის მოწმობა!

***— სიმთვრალეზე დღესაც ხომ ასეა, მძღოლს ართმევენ მართვის მოწმობას.***

— ამ კუთხით ძალიან საინტერესო სტატისტიკა გვაქვს. სიმთვრალეზე მძღოლს ხომ ჩამოართმევენ მართვის მოწმობას, მერე უცებ გაჩნდა რაღაც შეწყალების მექანიზმი. ეს რა მექანიზმია, ვინ იწყალებს?! ბევრისგან მსმენია, ვიჩალიჩე, გადავიხადე 700 ლარი და შემიწყალესო.

***— მართვის მოწმობებს უბრუნებენ ვადაზე ადრე?***

— ასეა და ამას დაარქვეს შეწყალება. ეს არ უნდა იყოს, ხალხო! დაჯდა ნასვამი? იქ დამთავრდა, მან უნდა იცოდეს, რომ 5 წელიწადი საჭეს ველარ გაეკარება! კი ბევრია 5 წელი, მაგრამ ის კონკრეტული პირი ამით გადავარჩინეთ 5 წლიან ციხეს და ასევე ვიღაც გადავარჩინეთ მიწაში ჩადებას.

***— საკმაოდ მძიმეა 2016 წლის სტატისტიკა. 2017 წელიც მძიმედ დაიწყო.***

— გეთანხმებით, უმძიმესია. პოსტსაბჭოთა სივრცეში, რუსეთის შემდეგ, პირველ ადგილზე ვართ ავტოსაგზაო შემთხვევით. ყოველდღე 2-3 ადამიანი მაინც იღუპება. პირადად მეც რამდენიმე საქმე მაქვს ასეთი, საშინელ ფაქტებზეა საუბარი. დაფიქრდით, ხალხო, საკუთარ თავს იუბედურებთ, სხვის სიცოცხლეს სპობთ და მის ცოდვას იდებთ და გარშემო ამდენ გაუბედურებულ ადამიანს ტოვებთ! ძალიან მკაცრი სანქციები უნდა შემოვიღოთ, რომ პირველ რიგში, პოტენციური დამნაშავეები ვიხსნათ ამ საშინელებისგან. საზოგადოების მხრიდანაც არ არის სათანადო მიდგომები.

***— საზოგადოებაც უნდა გაიზარდოს?***

— საზოგადოების გაზრდას თუ ვუცადეთ, წინ ვერ წავალთ. ჩვენი საზოგადოება იზრდება უკვე 27 წელია, მაგრამ ვერ გაიზარდა. სახელმწიფო ვერ შევქმენით. ჩვენ ვერასდროს გავიზრდებით, ეს არის ზღაპარი! უნდა გაიზარდოს ის ჯგუფი, ვინც პარლამენტში ზის და კანონებს იღებს! დროულად მოახდინოს პარლამენტმა ამ პრობლემაზე რეაგირება! დღეს ერთი კაციც არ ფიქრობს ამ საკითხზე პარლამენტში, ერთი!

---

გულიკო ბალაძე

# მამუკა ტუსკაძე: „ირაკლი დოკვაძეს ერთი მუხლი მთლიანად უნდა მოხსნოდა“

**ირაკლი დოკვაძის უფლებებს ამ ეტაპზე უფლებადამცველი და ადვოკატი მამუკა ტუსკაძე იცავს.**

მამუკა ტუსკაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ მუშაობს ირაკლი დოკვაძის განაჩენების კანონთან შესაბამისობაში მოყვანაზე.

***— ბატონო მამუკა, რა ხდება ირაკლი დოკვაძის საქმესთან დაკავშირებით?***

— ჩვენი „უფლებადამცველთა სახლი“ ახორციელებს ირაკლი დოკვაძის სამართლებრივ დაცვას. ჩვენ ვაპირებთ იმ სასამართლო განაჩენების კანონთან შესაბამისობაში მოყვანას, რაც ირაკლი დოკვაძის მიმართ იქნა დადგენილი. პროცედურა დაწყებულია.

***— რას ნიშნავს განაჩენების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა?***

— 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტია ირაკლი დოკვაძეს არასწორად შეეხო. მხოლოდ ერთი მეოთხედით შეეხო. მას ერთი მუხლი მთლიანად უნდა მოხსნოდა.

***— როგორ უნდა მოხსნოდა ერთი მუხლი?***

— მუხლი ამნისტიით უნდა მოხსნოდა.

***— რა მუხლია და რას ეხებოდა?***

— მუხლი ეხებოდა მკვლელობასა და მკვლელობის მცდელობას. მართალია, თეთრი ძაფით ნაკერი საქმეა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, შიგნით საქმეში რა ხდება. ირაკლი დოკვაძის საქმეს ვიცნობ. ის სრულიად უდანაშაულოა.

***— წარმოდგენილი საქმის მიხედვით ახდენთ სამართლებრივ ექსპერტიზას?***

— წარმოდგენილი საქმის მიხედვით – არა. ამ ეტაპზე ჩვენ ვაპირებთ, პროკურატურაში წარვადგინოთ მტკიცებულებები, რომ საქმე დაშალონ და პროკურატურამ გამოძიება თავიდან დაიწყოს ახალი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე.

***— რა ახალი გარემოებაა, რას მიაკვლიეთ?***

— ახალი გარემოებაა ის, რომ დაზარალებული მხარე მაშინაც ამბობდა და დღესაც ამბობს, რომ ირაკლი დოკვაძეს მის მიმართ დანაშაული არ ჩაუდენია და სხვა ადამიანებს ადანაშაულებს. მზად არის, პროკურატურას ჩვენება მისცეს.

***— ხომ არ შეხვედრიხართ დაზარალებულ მხარეს?***



— ჯერჯერობით არ შევხვედრივარ, მალე შევხვდები. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. იმედი მაქვს, დღევანდელი პროკურატურა კიდევ ერთხელ დაიწყებს ირაკლი დოკვაძის საქმის გამოძიებას. იგივე სისხლის კვალი ფეხსაცმელზე, იგივე ირაკლის ძალიან საინტერესო პოლიტიკური განცხადებები, რომელთაც იმ პერიოდში ხშირად აკეთებდა იმდროინდელი ხელისუფლების მიმართ. ამიტომ ირაკლი დოკვაძეს შეუთითხნეს საქმე.

ანუ ირაკლი დოკვაძეს ვეხმარებით, საქმე დაიშალოს და ხელახლა წარიმართოს გამოძიება. თუმცა, ვაცნობიერებთ, რომ რთული პროცედურაა. ამიტომ მანამდე ვცდილობთ, მისი განაჩენები კანონთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ ამნისტიის კანონში მკვლელობით და მკვლელობის მცდელობით ორ ადამიანთან მიმართებაში.

თუ ნასამართლობის არმქონე იქნებოდა, ამნისტიის კანონი ათავისუფლებდა ასეთ დანაშაულზე სასჯელისაგან. ირაკლი დოკვაძეს რატომღაც ჩაუთვალეს, რომ ნასამართლობა გაქარწყლებული არ ჰქონდა. ამ დროს ნასამართლობა არა მარტო გაქარწყლებული ჰქონდა, არამედ კომპენსაციაც ჰქონდა მიღებული.

***— საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებით.***

— დიახ, დიდი პალატის გადაწყვეტილებით. ამიტომ 2012 წლის ამნისტია ირაკლი დოკვაძეს არასწორად შეეხო. მაშინ ირაკლი დოკვაძეს ეს არ გაუსაჩივრებია. დღეს ვაპირებთ ამ საქმის თავიდან დაწყებას.

განაჩენი განჩინებით უნდა მოვიდეს შესაბამისობაში და ამნისტიის კანონი სრულად და ზუსტად უნდა შეეფარდოს.

ცოტა ხნის წინ მოსამართლე თეთრაულისაგან მივიღეთ პასუხი, რომელსაც რამდენჯერმე ჰქონდა შეხება ირაკლი დოკვაძის საქმესთან სხვადასხვა დროს, რომელიც მსჯელობაშიც კი არ ხმარობს შემამსუბუქებელ სიტყვებს.

***— რამენაირად დაინტერესებული იყო ამ საქმით?***

— დიახ, თეთრაული დაინტერესებულია. შეიძლება თეთრაულის მიმართ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოკვლევაზეც შევიტანოთ საჩივარი.

მესამე – ირაკლი დოკვაძის შემამსუბუქებელი გარემოება იყო 59-ე მუხლში შეტანილი ცვლილება, რაც ნიშნავს შეკრებითობის პრინციპის მოხსნას. შედეგად ერთი მუხლი ეხსნებოდა და რჩებოდა ერთი მუხლი.

***— 30-წლიანი პატიმრობა ყველა შემთხვევაში შეუსაბამო იყო?***

— დიახ. დღესდღეობით ირაკლი დოკვაძეს აქვს 26 წელი, 13 წელი და 6 თვე უნდა მოეხსნას. ერთი მხრივ, ეს ამნისტიას უნდა მოეხსნა, მეორე მხრივ, ეს უნდა მოეხსნა 59-ე მუხლსაც. თუმცა, 59-ე მუხლზე ერთი თვის წინ შევიტანეთ სასამართლოში საჩივარი და ორი დღის წინ მოსამართლე თეთრაულისაგან მივიღეთ უარყოფითი პასუხი, რომ ირაკლი დოკვაძის მიმართ ვერ იქნება გამოყენებული 68-ე მუხლი, წინა ნასამართლობის გამო, რომელზეც გითხარით, რომ გაქარწყლებული აქვს.

***— თქვენ თქვით, თეთრაულს რამდენჯერმე ჰქონდა შეხება ამ საქმესთანო. სწორედ აქედან გამომდინარე, თეთრაულს უფლება ჰქონდა, ეს საქმე განეხილა?***

— სწორედ ამიტომ მის გადაწყვეტილებას უზენაეს სასამართლოში ვასაჩივრებთ. თეთრაული იმიტომ იყო დაინტერესებული, რომ თავის დროზე ირაკლი დოკვაძის საქმეზე სააპელაციო სასამართლოში თეთრაულს ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება. მაშინაც თეთრაულის გადაწყვეტილება გასაჩივრებული იყო უზენაეს სასამართლოში. ამიტომ ვფიქრობ, რომ თეთრაული დაინტერესებული იყო დოკვაძის საქმით.

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ტრამპი: „მექსიკასთან კედელს ავაშენებთ“

## პრეზიდენტმა 20 იანვარი პატრიოტიზმის დღედ გამოაცხადა




ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მისი ინაუგურაციის დღე პატრიოტიზმის ეროვნულ დღედ გამოაცხადა.

დოკუმენტი ფედერალურ მთავრობას უკვე გადაეცა, რათა 20 იანვარი ოფიციალურად გამოცხადდეს პატრიოტიზმის დღედ.

– მე, დონალდ ტრამპი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, კონსტიტუციითა და კანონმდებლობით ჩემდამი მონიჭებული უფლებამოსილებით 2017 წლის 20 იანვარს ეროვნული პატრიოტიზმის დღედ ვაცხადებ იმისთვის, რომ ჩვენს ქვეყანაში გავამყაროთ ერთმანეთთან კავშირები და განვაახლოთ მთავრობის მოვალეობები ხალხისადმი.

ჩვენი კონსტიტუცია დაწერილია პერგამენტზე, მაგრამ ის ცოცხლობს ამერიკელი ხალხის გულში. არ არსებობს თავისუფლება იქ, სადაც ხალხი არ ენდობა მას, იქ არ არსებობს თავისუფლება, კანონი არ არსებობს იქ, სადაც ხალხი არ მისდევს მას და არ არსებობს მშვიდობა იქ, სადაც ხალხი არ ლოცულობს მისთვის, – ნათქვამია ტრამპის განცხადებაში.

მანვე ტვიტერის პირად გვერდზე დაწერა, რომ ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით რიგ ნაბიჯებს გადადგამს, რომელთა შორისაა კედლის აშენება მექსიკის საზღვარზე.

– ეროვნული უსაფრთხოებისთვის დიდი დღე იქნება. ყველაფერთან ერთად ჩვენ კედელს ავაშენებთ, – დაწერა დონალდ ტრამპმა ტვიტერში.

ამერიკული მედიის ინფორმაციით, ტრამპი აპირებს აღმასრულებელი განკარგულების ხელმოწერას მექსიკის საზღვარზე კედლის აშენების თაობაზე. აღნიშნულის შესახებ დონალდ ტრამპი წინასაარჩევნო კამპანიისას ამბობდა.

გარდა ამისა, ამ კვირას ტრამპი ასევე გასცემს განკარგულებას სირიის, ერაყის, ირანის, ლიბიის, სომალის, სუდანისა და იემენის მოქალაქეებისთვის ამერიკული ვიზების გაცემის შეჩერებაზე.

აკრძალვა მანამ იმოქმედებს, სანამ აშშ-ის ხელისუფლება არ შეიმუშავებს დევნილების შემოწმების უფრო მკაცრ მექანიზმს.

# მარინ ლე პენს ფრანგული ვალუტის შექმნა სურს



ეროვნული ფრონტის ლიდერი და საპრეზიდენტო კანდიდატი მარინ ლე პენი საფრანგეთის ევროზონიდან გამოსვლას და საკუთარი ვალუტის შექმნას მხარს უჭერს.

– მე მხარს ვუჭერ ეკონომიკურ პატრიოტიზმს, თუმცა საამისოდ საჭიროა ევროკავშირის რიგი წესების ეჭვის ქვეშ დაყენება, – განაცხადა მარინ ლე პენმა.

მისი თქმით, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ის დაუყოვნებლივ დაიწყებს „ოთხი სუვერენიტეტის პროგრამის“ განხორციელებას და ევროკავშირთან მოლაპარაკებებს შეუდგება.

– პირველ რიგში, ეს ტერიტორიული სუვერენიტეტია, რათა ქვეყანა დავიცვათ მიგრანტების შემოდინებისგან. კერძოდ, შენგენის ზონის შესახებ შეთანხმების გადახედვა. ასევე ეს საკითხი ეხება ეკონომიკურ-საბიუჯეტო და სავალუტო სუვერენიტეტს და, რა თქმა უნდა, საკანონმდებლო სუვერენიტეტს, – აღნიშნა ეროვნული ფრონტის ლიდერმა.

– სავალუტო სუვერენიტეტი ნიშნავს საკუთარი ეროვნული ვალუტის შექმნას. ევროს სისტემა კრახით სრულდება. ევროს შემოღებამ ევროკავშირის ქვეყნებში ფასების ზრდა გამოიწვია. მაგრამ, პირველ რიგში, ევრო ძლიერი მუხრუჭი გახდა, – დასძინა მარინ ლე პენმა.

მარინ ლე პენის თქმით, საფრანგეთში ერთი ვალუტა იქნება – ეროვნული ვალუტა.

# მარტინ შულცი ანგელა მერკელის კონკურენტი გახდა



ევროპარლამენტის ყოფილი პრეზიდენტი მარტინ შულცი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატი იქნება გერმანიის ფედერალური კანცლერის პოსტზე.

ამის შესახებ განაცხადა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელმა და გერმანიის ეკონომიკის მინისტრმა ზიგმარ გაბრიელმა.

– მოხარული ვარ, რომ პრეზიდიუმმა ჩვენს წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი, – აღნიშნა ზიგმარ გაბრიელმა.

მისი აზრით, მარტინ შულცი ის ადამიანია, რომელიც შეძლებს ხიდების აშენებას, ხალხის გაერთიანებას.

– მიხარია, რომ ამ საქმეს ხელი მოკიდა. დარწმუნებული ვარ, მას საუკეთესო შანსები აქვს კანცლერის პოსტზე, – განაცხადა გაბრიელმა.

შულცის კანდიდატურას კანცლერის პოსტზე პარტიის პრეზიდიუმი კვირას დაამტკიცებს.

გერმანიაში საპარლამენტო არჩევნები 2017 წლის 24 სექტემბერს გაიმართება.

# პასე რუსეთისგან პოლიტპატიმრების გათავისუფლებას მოითხოვს



გრძელდება ევროპის საპარლამენტო ასამბლეის (პასე) სესია.

კულტურისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარედ უკრაინის წარმომადგენელი ვლადიმერ არიევი აირჩიეს.

დეპუტატებმა ასევე მხარი დაუჭირეს არიევის მიერ მომზადებულ რეზოლუციას, სადაც ნათქვამია, რომ უნდა გათავისუფლდნენ სენცოვი, კოლჩენკო, სუსჩენკო და სხვა უკრაინელი პატიმრები, რომლებიც რუსეთის ციხეებში იმყოფებიან.

– ისინი პუტინის ხელში მძევლებად გადაიქცნენ, – განაცხადა არიევმა.

პასემ ხმების აბსოლუტური უმრავლესობით უკრაინელების გათავისუფლებას მხარი დაუჭირა.

პასე-ს თავმჯდომარე პედრო აგრამუნტი რუსული დელეგაციის დაბრუნებას მოითხოვდა. ხსენებული კანონპროექტის მიღებისთვის მას ხელი არ შეუშლია, თუმცა განაცხადა:

– ასეთი კატეგორიული ტონი არ უნდა იყოს საჭირო!

პრორუსული ორიენტაციის ფრანგი პოლიტიკოსი მარიანი მიიჩნევს, რომ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა უკრაინა, პოლონეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი ევროპის წინააღმდეგ მუშაობენ.

– ევროპას რუსეთთან კონფრონტაცია არაფერში სჭირდება! უკრაინელები კი რუსეთის წინააღმდეგ მუშაობენ! – თქვა მარიანმა.

რუსეთის ფედერალური საბჭოს თავმჯდომარემ ვალენტინა მატვიენკომ რუსეთის ტელევიზიასთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ სანამ პასეში დომინირებს თემები – რუსეთის აგრესია, რუსი მძევლები, რუსული ოკუპაცია და ა.შ., რუსეთი იქ არ დაბრუნდება.

– გინდათ, რომ დავბრუნდეთ? მაშინ ასეთ რიტორიკას შეეშვით! როგორ შეიძლება პარტნიორები გიწოდოთ, როდესაც ოკუპანტებს და მოძალადეებს გვეძახით! – თქვა მატვიენკომ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

### კალეიდოსკოპი

# ესპანელ მსახიობს დუმილში ფული გადაუხადეს



ერთ-ერთმა ესპანურმა გამოცემამ გამოაქვეყნა მის ხელთ აღმოჩენილი საიდუმლო საბუთები, რომელიც ამტკიცებს, რომ ქვეყნის სპეცსამსახურებმა მსახიობ ბარბარა რეის ფული გადაუხადეს იმისთვის, რომ მას არ გაემხილა ინფორმაცია ესპანეთის ყოფილ მეფე ხუან კარლოსთან მისი მრავალწლიანი ურთიერთობის შესახებ.

გამოცემის ინფორმაციით, 1996 წელს თავდაცვითი ინფორმაციის მთავარი ცენტრის წარმომადგენლებმა მსახიობს მისი დუმილის სანაცვლოდ 500 მილიონი პესეტი (დღევანდელი კურსით სამი მილიონი ევრო) შესთავაზეს. გამოცემამ ასევე გამოაქვეყნა მასალები, რომლებიც ადასტურებს, რომ გარკვეული დროის შემდეგ ლუქსემბურგის ბანკში გაიხსნა ანგარიში, რომელზეც პირველი 26,3 მილიონი პესეტი ჩაირიცხა. ბენეფიციარის სახით საბუთებში მითითებულია ოფშორული კომპანია. ამასთან ბანკი ყოველთვიურად იღებდა საკომისიო თანხად 2,5 ათას პესეტს, ანონიმურობის დასაცავად.

ესპანური გამოცემა ამტკიცებს, რომ მსახიობისთვის თანხა ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ხაზინაშიც იყო შენახული. სპეცსამსახურების ჩანაფიქრით, თანხის თანდათანობით გადაცემას ქალი ესპანეთის მეფესთან რომანის თაობაზე ინფორმაციის გავრცელებისგან უნდა შეეკავებინა.

თავად მსახიობმა ეს ყოველივე უარყო და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის არასოდეს ყოფილა ლუქსემბურგში. სამეფო ოჯახის წარმომადგენლებმა კომენტარისგან თავი შეიკავეს

# ირლანდიაში პატარძალი ქორწილში ტრაქტორით მივიდა




ირლანდიის ქალაქ მონაჰანის მცხოვრები ქალბატონი საკუთარ ქორწილში ტრაქტორით მივიდა. ამასთან საჭესთან თავად იჯდა.

ესლინგ გრემმა ასევე დაიქირავა ტრაქტორები თავისი მეგობარი გოგონებისთვის. ის ფერმერების ოჯახში გაიზარდა და რვა წლის ასაკში ისწავლა ამ მანქანის ტარება.

– საქორწინო კაბა ძალიან სწრაფად ჩავიცვი, ვინაიდან მოახლოვებული ტრაქტორების ხმა შემომესმა და მინდოდა, რაც შეიძლება სწრაფად შემევლო მათთვის თვალი, – განაცხადა პატარძალმა.

თავის მხრივ, გრემის საქმრო და მისი მაყრიონი ქორწილში სატვირთო მანქანებით მივიდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## განცხადებები

### მკურნალობა

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ვლადიმირ ვაისი: „ვიცი, რა არ ჰყოფნით ქართველ ფეხბურთელებს“



სლოვაკი სპეციალისტი ვლადიმირ ვაისი თითქმის წელიწადია საქართველოს ნაკრების მწვრთნელია. მასთან ინტერვიუ უეფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– 3 თაობა, 3 ვლადიმირ ვაისი – მამათქვენი, თქვენ და შვილი, რომლისთვის უფრო მძიმეა, მამისთვის თუ შვილისთვის?***

– ყველა მამა გახარებულია, როდესაც მისი შვილი ფეხბურთელი ხდება და მით უფრო, საკუთარი ქვეყნის ნაკრებში თამაშობს. თუმცა, შვილის გაწვრთნა გაცილებით სხვა საქმეა და რთული. თუ უმცროსი ვლადიმირი კარგად თამაშობს, ყველას გვიხარია და თუ ცუდად, ეს მარტო მისი ბრალი არ არის – ყველა დამნაშავე ვართ. ამიტომ, ამ კუთხით, მისთვის უფრო რთულია. წარმატებული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ კიდევ ერთი ციკლი ჩავატარე სლოვაკეთის ნაკრებში, მაგრამ შემდეგ დავტოვე მხოლოდ ერთი მიზეზით – ჩემს შვილს არ ჰქონოდა ისეთი პასუხისმგებლობა, როგორც მე თავის დროზე.

***– რით განსხვავდება ფეხბურთი, რომელიც თქვენს 3 თაობაში იყო?***

– ფეხბურთი ყოველწლიურად იცვლება, თუმცა მთავარია ერთი – ან იცი ფეხბურთის თამაში, ან არა... ცხადია, ფეხბურთი გახდა უფრო სწრაფი, გაიზარდა ტაქტიკის როლი, მაგრამ ყველა ეპოქის უდიდესი ფეხბურთელები, პელე და დიეგო მარადონა, ანაც ლეო მესი და კრიშტიანუ რონალდუ გამოირჩევიან თავიანთი ტალანტით. უბრალოდ, ახლა ფეხბურთი შეიცვალა და მაღალ სისწრაფეზე რთულია ლამაზად ითამაშო. გარდა ამისა, გაზრდილი დატვირთვებით, გაიზარდა ტრავმიანობა. ეს გამოწვეულია წამყვანი გუნდების გადატვირთული სათამაშო გრაფიკით.

***– თქვენ წარმატებას საკლუბო დონეზეც მიაღწიეთ, როდესაც არტმედია ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანეთ, ხოლო კაირატი – ევროპალიგაზე. შემდეგ ისევ სანაკრებო საქმიანობას დაუბრუნდით. რა იცოდით საქართველოზე, სანამ მის უპირველეს გუნდს ჩაიბარებდით?***

– ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყოველთვის იყვნენ ნიჭიერი ფეხბურთელები. ავიღოთ თუნდაც თბილისის დინამო, რომელმაც 1981 წელს თასების მფლობელთა თასი მოიგო. შემდეგ იყო სხვა თაობა: კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, გიორგი ქინქლაძე, რომელიც მანჩესტერ სიტიში გამოდიოდა და სათამაშო მანერით მარადონას ჰგავდა. მსურდა გამეგო, რა აკლიათ ახლანდელ ქართველ ფეხბურთელებს საიმისოდ, რომ წარმატებას მიაღწიონ.

***– და რა აკლიათ?***

– გუნდთან თითქმის წელიწადია ვმუშაობ, რომლის ნახევარი პირველი 3-4 მატჩის ანალიზს მოვანდომე. გავეცანი ფეხბურთელებსა და მათ მენტალიტეტს, საიდანაც გამოვიტანე ძალიან მარტივი დასკვნა: ქართველი ფეხბურთელები, მაგალითად, სლოვაკებთან შედარებით, საშუალოდ, უფრო ნიჭიერები, უფრო ტექნიკურები არიან. უყვართ ბურთი, მაგრამ არ უყვართ უბურთოდ მუშაობა. წარმატების მიღწევა კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ნაკრები ტაქტიკურად უფრო გამართული იქნება. ამ მიზნისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ.

მჭირდება დრო, რომ უბურთოდ თამაშში ვასწავლო ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც ოქრიაშვილი, მჭედლიძე, ანანიძე და ყაზაიშვილი არიან. თუ ამას შევძლებ, შედეგიც მოვა.

***– ევრო 2016-ის წინ საქართველომ ესპანეთს მოუგო (1:0), თუმცა შესარჩევ ციკლში ჯერ მოგების გარეშე ხართ.***

– ვფიქრობ, რომ უელსთან მატჩში გამოჩნდა, რა შეუძლია საქართველოს ნაკრებს, როდესაც ფეხბურთელები თამაშზე არიან კონცენტრირებულნი. ირლანდიასთან შეხვედრიდან მესამე დღეს, უელსთან მეორე ტაიმში დიდებული ფეხბურთი ვაჩვენეთ, გვქონდა ბევრი საგოლე მომენტი და გავიტანეთ ლამაზი გოლი. მომენტების რეალიზაციაზე უნდა ვიმუშაოთ და დავიცვათ ბალანსი შეტევასა და დაცვას შორის. როდესაც ამას მივაღწევთ, შეგვიძლია ვიფიქროთ პლეი ოფში მოხვედრასა და ჯგუფიდან გასვლაზე.

***– ჩანს, შორსმიმავალ გეგმებს აწყობთ.***

– ეს სამუშაო აბსოლუტურად მაკმაყოფილებს. საქართველოს ნაკრებს ბრწყინვალე სამწვრთნელო შტაბი, პერსონალი, ფედერაციის ხელმძღვანელობა ჰყავს, მაგრამ უპირველესად, გულშემატკივრები უნდა გამოვარჩიო, რომლებიც აქამდე ვერ გავახარეთ გამარჯვებით.

მოლდოვასთან შეხვედრის დროს ტრიბუნებზე 50.000 ადამიანი იყო და მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოვიგეთ, არ გაგვაკრიტიკეს და არც გვისტვინეს. მინდა, მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებიც აფასებენ ჩვენს სამუშაოს. მჯერა, სერბეთთან მომავალ შეხვედრაში შევძლებთ მათ გახარებას. თუ ყველაფერი კარგად წარიმართება, ბედნიერი ვიქნები, თუ აქ დიდხანს დავრჩები.

# ფუტსალისტთა ნაკრებმა ევროშესარჩევი მოგებით დაიწყო



**საქართველო-ისრაელი 3:0**

1:0 თოფურია, 2:0 მაისაია, 3:0 კუპატაძე

საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ჩინებულად დაიწყო და პირველივე მატჩში ისრაელის ნაკრები 3:0 დაამარცხა.

ოდნავი უპირატესობის მიუხედავად, პირველ ტაიმს უფრო თანაბარი ეთქმოდა. ორივე გუნდი კარგად იცავდა თავს და ერთმანეთს მხოლოდ შორეული დარტყმებით თუ აწუხებდნენ. ტაიმის დასრულებამდე 4 წამი იყო დარჩენილი, როდესაც არჩილ სებისკვერაძემ სტანდარტულიდან მეტოქის კართან გამჭოლი პასი გააკეთა და შოთა თოფურიამ ანგარიში გახსნა – 1:0.

მეორე ტაიმში ჩვენებს უფრო მეტი მომენტი ჰქონდათ. აქედან ერთი ლამაზი კომბინაციის შემდეგ გოლით დასრულდა – სებისკვერაძე-ნიშნიანიძე-სებისკვერაძე-მაისაია და 2:0.

მესამე გოლი გასული წლის საუკეთესო ფუტსალისტმა, მეკარე ზვიად კუპატაძემ გაიტანა. ბოლო წუთზე ისრაელი ვა-ბანკზე წავიდა და მეკარე მოთამაშით შეცვალა. კუპატაძემ მეტოქის დარტყმული ბურთი ხელში აიღო, ცარიელი კარი შენიშნა და საკუთარი კარიდან გაიტანა – 3:0.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში შვეიცარიამ შოტლანდიას 6:2 მოუგო. საქართველოს ნაკრები მომდევნო მატჩს შოტლანდიასთან გამართავს, ხოლო შვეიცარია ისრაელს დაუპირისპირდება.

ისრაელთან ჩვენმა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კუპატაძე, ჭანუყვაძე, თოდუა, რონინიო, სებისკვერიძე; ჯამბურია (მ), ლუკავა, ნიშნიანიძე, თოფურია, კობაიძე, მაისაია, კურტანიძე, ტიკურიშვილი.

# საიმონ ქიბლი: „საქართველოში საუკეთესო ჩემპიონატი გველის“



2017 წლის 31 მაისიდან, 18 ივნისის ჩათვლით, 20-წლამდელ მორაგბეთა მსოფლიო ჩემპიონატი, 12 უძლიერესი ნაკრების მონაწილეობით, თბილისსა და ქუთაისში გაიმართება.

ახალგაზრდა ქართველ ბორჯღალოსნებს ც ჯგუფში არგენტინის, საფრანგეთისა და სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ მოუწევთ ბრძოლა, ა ჯგუფში ითამაშებენ ავსტრალია, ინგლისი, სამოა და უელსი, ხოლო ბ ჯგუფში ირლანდია, იტალია, ახალი ზელანდია და შოტლანდია.

ჯგუფური ეტაპის მატჩები თბილისში ავჭალის სტადიონზე და ქუთაისში, აია არენაზე შედგება, ხოლო საპლეიოფო ეტაპი და ფინალები ავჭალასა და მიხეილ მესხის სტადიონზე გაიმართება.

მომავალ ტურნირთან დაკავშირებით, მსოფლიო რაგბის წარმომადგენელი ინგლისელი სპეციალისტები საქართველოში ორდღიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ. ჩამოსვლის მთავარი მიზანი კი 2017 წლის 20 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატისათვის მიმდინარე სამზადისის და საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებული პროცესის გაცნობაა.

საიმონ ქიბლი, მსოფლიო რაგბის ტურნირების ტექნიკური დირექტორი:

– საქართველოში რამდენიმედღიანი ვიზიტით ვიმყოფებოდით, მოვინახულეთ ქუთაისის სარაგბო ბაზა და შევამოწმეთ, თუ როგორ მიმდინარეობს მოედნების კეთილმოწყობის სამზადისი. გვჯერა, რომ საქართველოში საუკეთესო ჩემპიონატი გველის.

# კლაუდიო რანიერი: „ფეხბურთელებს უნდა აჩვენო, თუ როგორ გიყვარს ეს თამაში“




ფიფამ 2016 წლის საუკეთესო მწვრთნელად ინგლისური პრემიერლიგის ჩემპიონის, ლესტერის იტალიელი თავკაცი კლაუდიო რანიერი დაასახელა.

იტალიელი თავკაცის ინტერვიუ ფიფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– რა შეგრძნება გქონდათ, როდესაც წლის მწვრთნელად დაგასახელეს?***

– შესანიშნავი. ამისთვის მინდა მადლობა ვუთხრა ლესტერის ხელმძღვანელობას, ჩემს ფეხბურთელებსა და ჩვენს ფანებს. დაუვიწყარი და დაუჯერებელი სეზონი იყო. ახლა წინ ახალი გამოწვევებია. მინდა იმავე შემართებით გავაგრძელო მუშაობა, რომ უკვე მიღწეულ წარმატებაზე ახალი დავაშენოთ.

***– რა იყო გადამწყვეტი, რამაც ლესტერის ჩემპიონობა განაპირობა?***

– ძნელია კონკრეტულად რამის გამორჩევა. ყველაფერი იდეალურად გახლდათ და ბრწყინვალედ აეწყო. ძნელი აღსაწერია ის გარემო, რომელიც გასახდელში სუფევდა. თან, ფეხბურთსაც კარგად ვთამაშობდით. გარდა ამისა, მთავარ ფავორიტებს სეზონის ბოლომდე კარგად არ წაუვიდათ საქმეები და საუკეთესო ფორმაში ვერ იყვნენ. უცნაურია, ასეთი რამის თქმა რომ გიწევს, როდესაც ერთ-ერთ ურთულეს ლიგას 10-ქულიანი უპირატესობით მოიგებ, მაგრამ ასეა, ეს სიმართლეა.

***– როდის დაიწყეთ ფიქრი იმაზე, რომ ჩემპიონობა რეალობად ქცეულიყო?***

– ორ მომენტს გამოვარჩევდი: პირველი, როდესაც მანჩესტერ სიტის სტუმრად 3:1 მოვუგეთ. ძალიან კარგად ვითამაშეთ! მეორე კი გახლდათ მატჩი ლონდონში არსენალთან, რომელიც 95-ე წუთზე წავაგეთ. მაშინ საკუთარ თავს ვუთხარი – თუ მათ 5 დამატებული წუთი დასჭირდათ იმისთვის, რომ მოეგოთ, ესე იგი სწორად მივდივართ. სინამდვილეში კი საბოლოოდ მაშინ ვირწმუნეთ, როდესაც ჩემპიონობა გავინაღდეთ და მერე ტიტულს ხელით შევეხეთ.

***– როგორ უმკლავდებოდით გასახდელში საქმეს და როგორ ურთიერთობდით ასე ჰარმონიულად ფეხბურთელებთან მთელი სეზონის განმავლობაში?***

– მთავარი იყო ფეხბურთელებისთვის ზედმეტი ზეწოლა ამერიდებინა. დამერწმუნებინა ბიჭები, რომ მომენტით ესიამოვნათ და თავისუფლად, ლაღად ეთამაშათ. საბოლოო ჯამში, ჩვენ მხოლოდ 3 მატჩი წავაგეთ. ყოველი მარცხის მერე ფეხბურთელებს ვეუბნებოდი – არ ინერვიულოთ, გააგრძელეთ მუშაობა და საკუთარი თავით სიამოვნების მიღება. შემდეგ მატჩს მოვიგებთ. რეალურად თუ რაიმე დიადის მიღწევა გინდა, მხოლოდ მომავალ მატჩზე უნდა იფიქრო და ამისთვის მოემზადო, უფრო წინ არ უნდა წახვიდე.

***– ყველაზე მეტად რა იყო სასიამოვნო ჩემპიონობაში?***

– გახარებული ფანების ხილვა და იმ წერილების წაკითხვა, რომელსაც ადამიანები მთელი მსოფლიოდან გვიგზავნიდნენ. გამოჩნდა, რომ ცხოვრებაც სპორტია – ყველამ ჩათვალა და თავის თავს უთხრა, რომ თუ ლესტერს შეუძლია პრემიერლიგის მოგება, ნებისმიერს შეუძლია ცხოვრებაში კარგი რამისთვის ბრძოლა, თუნდაც წარმატების მიღწევის შანსი ძალიან მცირე იყოს.

***– რას გეტყვით იმ პირობაზე, რომელიც გარი ლინეკერმა დადო და აასრულა – თუ ლესტერი ჩემპიონი გახდება, გადაცემას მხოლოდ ტრუსებით წაიყვანო?***

– გარის მას მერე რამდენჯერმე ვილაპარაკე და ახლა ამაზე ვიცინით ხოლმე. ძალიან სახალისო ამბავია. მესმის მისი... ბუკმეკერებს ჩვენ ჩემპიონობაზე 5.000 კოეფიციენტი ჰქონდათ გამოწერილი. იმის შანსი უფრო მეტი იყო, რომ პიკადილიზე კოსმოსური ხომალდი დაშვებულიყო!

***– ამ სეზონში ჩემპიონატში ლესტერის საქმე ისე კარგად არ მიდის. რა არის ამის მიზეზი?***

– ვიცოდით, რომ ამ სეზონში ადვილი არ იქნებოდა. ჩემპიონთა ლიგაზეც გვიწევს თამაში. თან პრემიერლიგა ერთ-ერთი ურთულესი ლიგაა. ცოტათი უიღბლობამაც ითამაშა თავისი როლი. პრემიერლიგაში ტიტულისთვის ველარ ვიბრძოლებთ, მაგრამ შეგვიძლია, რომ მთლიანობაში კარგი სეზონი გვქონდეს.

***– იქნებ, ისევ ყველა გააოცოთ და ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგა მოიგოთ?***

– არა. ლესტერმა წინა სეზონში აჩვენა, რომ ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ მოდი, სერიოზულები ვიყოთ.

## შედეგები

**24 იანვარი**

**ფეხბურთი**

**აფრიკის ერთა თასი**

მაროკო-კოტ დივუარი .................. 1:0
ტოგო-დრ.კონგო .......................... 1:3

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბრაიტონი-კარდიფი ...................... 1:0
რედინგი-ფულემი ......................... 1:0

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ალავესი-ალკორკონი ..................... 0:0

**იტალია. თასი**

ნაპოლი-ფიორენტინა .................... 1:0

**საფრანგეთი. ლიგის თასი**

ბორდო-პსჟ ..................................... 1:4

**ბელგია. 1 დივიზიონი**

გენკი-კორტრაიკი .......................... 3:0
ვარეგემი-მუსკრონი ...................... 1:0
ოსტენდე-შარლერუა ..................... 1:2

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

გოფინი-დიმიტროვი ........ 3:6, 2:6, 4:6
ნადალი-რაონიჩი ................6:4,7:6,6:4

**ქალები**

პლიშკოვა-ლუჩიჩი .............4:6,6:3,4:6
კონტა-ს.უილიამსი ................... 2:6,3:6

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების განკურნების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა იწვევს საშვილოსნოს მიომას

ეკა ირემაშვილი

**რა იწვევს საშვილოსნოს მიომას და როგორია მისი მკურნალობის მეთოდები, ამ თემებზე არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის რეპროდუქტოლოგი, მეან-გინეკოლოგი თინათინ ფირცხალავა გვესაუბრება.**

**თინათინ ფირცხალავა:**

– საშვილოსნოს მიომა კეთილთვისებიანი ჰორმონდამოკიდებული სიმსივნური წარმონაქმნია, რომელიც ძირითადად გვხვდება 30 წელზე ზემოთ რეპროდუქციული ასაკის ქალების 25-30 პროცენტში. გაცილებით ხშირია პრეკლიმაქსურ პერიოდში.

კვანძების განლაგების მიხედვით მიომა შეიძლება იყოს სუბსეროზული – საშვილოსნოს ტანის ზედაპირზე, ინტერსტიციული – საშვილოსნოს კედელში, სუბმუკოზური – საშვილოსნოს ღრუში, ასევე შეიძლება იყოს შერეული ლოკალიზაციის კვანძები.

***– რა უწყობს ხელს მიომური კვანძების განვითარებას?***

– მიომურ კვანძებს ფიბროიდებს უწოდებენ, ზოგადად ცნობილია, რომ მიომური კვანძების განვითარებას ხელს უწყობს ქალის ესტროგენული ჰორმონების ჭარბი რაოდენობა და პროგესტერონის დეფიციტი.

საშვილოსნოს მიომის განვითარების რისკფაქტორებია გენეტიკური წინასწარ განწყობა, სიმსუქნე, ასაკი, კვების რაციონი, ხშირი და ჭარბი მენსტრუაცია, ხელოვნური აბორტები.

***– რა ნიშნებით ვლინდება საშვილოსნოს მიომა?***

– ქალების 50-60 პროცენტში საშვილოსნოს მიომა მიმდინარეობს კლინიკური გამოვლინების გარეშე. სიმპტომური მიომისათვის დამახასიათებელია პათოლოგიური სისხლდენა საშვილოსნოდან, მწვავე ან ქრონიკული პოსტჰემორაგიული ანემია – სისხლდენის შემდეგ დაბალი ჰემოგლობინის მაჩვენებელი, ტკივილი მუცლის არეში, ახლომდებარე ორგანოებზე ზეწოლის ნიშნები.

პათოლოგიური სისხლდენა ხასიათდება ჭარბი, გახშირებული და გახანგრძლივებული მენსტრუაციით რეგულარული ან არარეგულარული ციკლის ფონზე, რაც ზოგჯერ იღებს ძლიერი სისხლდენის ხასიათს.

მიომური კვანძი ხშირად ვითარდება საშვილოსნოს იოგებს შორის, ეს იწვევს ძლიერ ტკივილს მუცლის ღრუში. თუ მიომური კვანძი განვითარდა საშვილოსნოს წინა კედელზე და საშვილოსნოს ყელის მიდამოში, იგი ახდენს ზეწოლას შარდის ბუშტზე და შეიძლება გამოიწვიოს გახშირებული შარდვა, შარდის შეკავება ან შეუკავებლობა.

თუ მოიმური კვანძი განვითარდა საშვილოსნოს უკანა კედელზე, მან შეიძლება მოახდინოს ზეწოლა სწორ ნაწლავზე და განვითარდეს შეკრულობა, ბუასილი.

***– შესაძლებელია საშვილოსნოს მიომას ახლდეს სხვა პათოლოგიები?***

– დიახ. საშვილოსნოს მიომას შეიძლება თან ახლდეს სხვა პათოლოგიები ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზია – საშვილოსნოს შიდა გარსის გასქელება, პოლიპოზი, ენდომეტრიოზი.

***– როგორ ხდება საშვილოსნოს მიომის დიაგნოსტიკა?***

– გინეკოლოგიური გასინჯვა, ექოსკოპია, მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია, ლაპარასკოპია, ჰისტეროსკოპია – ეს არის საშვილოსნოს მიომის დიაგნოსტიკის მეთოდები.

***– რა მეთოდებით ხდება საშვილოსნოს მიომის მკურნალობა?***

– მკურნალობისას ძირითადად გამოიყენება ჰორმონული პრეპარატები – პროგესტერონის სინთეზური ანალოგები, ასევე ეგრეთ წოდებული გონადოტროპინ -რილიზინგ ჰორმონის აგონისტები და ანტიპროგესტერონები.

ეს მედიკამენტები არის როგორც ტაბლეტების სახით, ასევე ინექციების და საშვილოსნოსშიგა საშუალებების ფორმით, ეგრეთ წოდებული „სპირალი“.



თინათინ ფირცხალავა

სისხლდენის და ანემიის დროს გამოიყენება სიმპტომური თერაპია, სისხლის დენის შეჩერების და ჰემოგლობინის შემცველობის გაზრდის მიზნით.

***– ამბობენ, რომ ჰორმონულმა თერაპიამ შესაძლებელია კვანძის ზრდაც შეაჩეროს და იგი მთლიანადაც გააქროს. ეს მართლია?***

– ჰორმონულმა თერაპიამ შესაძლებელია შეაჩეროს კვანძის ზრდა, ზოგჯერ შეამციროს იგი ზომაში, მაგრამ კვანძი მთლიანად არ ქრება. მიომის სამკურნალოდ გამოიყენება მკურნალობის ალტერნატიული მეთოდები, მაგალითად, ფიტოთერაპია, რომელიც, რა თქმა უნდა, არ არის ისეთი ეფექტური. დიდი ზომის და მრავლობითი კვანძების შემთხვევაში მკურნალობის ეფექტური მეთოდია ოპერაცია.

***– რამდენად უსაფრთხოა ოპერაცია?***

– თანამედროვე მედიცინაში გამოიყენება ლაპარასკოპიული მეთოდით კვანძების ამოკვეთა საშვილოსნოს შენარჩუნებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქალის შვილოსნობის ფუნქციისთვის.

როდესაც საშვილოსნოს კვანძის რაოდენობა არის ბევრი და კვანძების ზომა არის დიდი, საჭირო ხდება მუცელკვეთით ოპერაციის გაკეთება. როდესაც კვანძი არის საშვილოსნოს ღრუში – ეგრეთ წოდებული სუბმუკოზური კვანძის – შემთხვევაში კეთდება ჰისტერორეზექტოსკოპია – საშვილოსნოს ღრუს გაუხსნელად, საშვილოსნოს ღრუდან კვანძის მოკვეთა.

ასევე არსებობს ქირურგიული ჩარევის ალტერნატიული მკურნალობა:

საშვილოსნოს არტერიების ემბოლიზაცია – ხდება სპეციალური ხსნარის შეყვანა, რომელიც იწვევს არტერიების ოკლუზიას – დახშობას, რის შედეგად ვითარდება მიომის კვანძების ნეკროზი და ზომაში შემცირება. პროცედურის ჩატარება არ არის რეკომენდებული მათთვის, ვისაც სურს შვილის გაჩენა.

უსაფრთხო პროცედურაა მაღალინტენსიური ფოკუსირებული ულტრაბგერა, რომელიც მიმდინარეობს მაგნიტო-რეზონანსური კონტროლის ქვეშ, ხდება მონიშნული მოცულობის მონაკვეთის მოწვა. ეს პროცედურა საქართველოში არ კეთდება.

ოპერაციის ჩატარების შემდეგ რეკომენდებულია პროფილაქტიკური მკურნალობა შეხორცებების განვითარების აცილების მიზნით.

თუ კვანძების რაოდენობა არ არის ბევრი და პაციენტს არ აქვს კლინიკური გამოვლინება, მაშინ ხდება ყოველ 6 თვეში ექოსკოპიური დაკვირვება.

***– როგორია პროფილაქტიკა ამ დაავადების თავიდან ასაცილებლად?***

– ყველა ქალმა მოზარდობის ასაკიდან, პერიოდულად უნდა ჩაიტაროს ექოსკოპიური გამოკვლევა, განსაკუთრებით მათ, ვისაც აქვს გენეტიკური განწყობა. მენსტრუალური ციკლის დარღვევის შემთხვევაში და კონკრეტული ჩივილების დროს კი უნდა მიმართოს ექიმ რეპროდუქტოლოგ-გინეკოლოგს.

## კალეიდოსკოპი

## ყველაზე ხანდაზმული გორილა მოკვდა



ყველაზე ასაკოვანი გორილა, მათ შორის, რომლებიც ტყვეობაში ცხოვრობენ, 60 წლის ასაკში ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ კოლუმბუსში მოკვდა.

გასული წლის დეკემბრის დასაწყისში ცხოველს ავთვისებიანი სიმსივნე ამოკვეთეს. ზოოპარკში მიიჩნევდნენ, რომ გორილა გამოჯანმრთელდებოდა, სწორედ ამიტომ მისი სიკვდილი მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ის სიკვდილამდე, რომლის მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია, რამდენიმე საათით ადრე ურთიერთობდა უამრავ დამთვალიერებელთან.

გორილა სახელად კოლო კოლუმბუსის ზოოპარკში 1956 წლის 22 დეკემბერს გაჩნდა. დაწესებულების თანამშრომლები მას ბავშვივით უვლიდნენ, აცმევდნენ ბავშვის ტანსაცმელს, კვებავდნენ რძის ნაზავით. მას სამი შვილი ეყოლა.

თავისუფლებაში გორილების სიცოცხლის ხანგრძლივობა 40 წელს აღწევს, ტყვეობაში კი 50 წლამდე ცოცხლობენ.

## ინდოეთში სპილოებს პიჟამოები მოუქსოვეს

ინდოეთის ქალაქ მატხურას მახლობლად მდებარე სოფლის მცხოვრებლებმა პიჟამოები მოუქსოვეს ნაკრძალის ბინადარ სპილოებს, რომლებსაც ღამით სიცივე აწუხებთ.

ადგილობრივი ქალები გამოეხმაურნენ მოწოდებას, დახმარებოდნენ ნაკრძალის თანამშრომლებს, რომელთა განცხადებით, სპილოებისთვის პრობლემებს ქმნიდა შეუფერებელი ბუნებრივი პირობები, კერძოდ, უჩვეულო სიცივეები.

თვეები დასჭირდა სპილოებისთვის სხვადასხვა ჩასაცმელის დამზადებას, მათ შორის, წამოსასხამებისა და წინდების.

საერთო ჯამში, 20 სპილოსთვის დამზადდება პიჟამოები. ახალი ჩასაცმელებით უკვე შემოსეს სამი სპილო.

ნაკრძალის დამაარსებელის კარტიკ სატიანარიანის თქმით, სპილოებს ჩასაცმელები ძალიან მოეწონათ.




*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი
### 26 იანვრისათვის



**ვერძი** – ყოფითი პრობლემების მოგვარებაში ხელი გეშლებათ. საქმიანი პარტნიორის მცდარი რჩევები არასასურველ შედეგს გამოიღებს. **კურო** – ეს დღე სასიცოცხლო პოტენციალის ზრდით აღინიშნება. სულიერი ძალები გემატებათ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ, ემოციები მოთოკეთ. **კირჩხიბი** – სახლში ნუ დარჩებით. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში იტრიალეთ. შესაძლოა, თქვენთვის საინტერესო ადამიანი სწორედ დღეს გაიცნოთ. **ლომი** – ახალი გატაცებები, ნაცნობობა, ურთიერთობების გაფართოება დღის დევიზია. იყავით დამოუკიდებელი. **ქალწული** – თქვენი პირადი მომხიბვლელობა იზრდება. ნებისმიერ პრობლემას იოლად და ძალდაუტანებლად მოაგვარებთ. **სასწორი** – მატერიალური მდგომარეობა არასტაბილურია, თუმცა – გამოსწორებადი. თუ არ იზარმაცებთ, შედეგით კმაყოფილი დარჩებით. **ღრიანკალი** – ფულს უაზროდ ნუ გაფლანგავთ. არასაჭირო შენაძენისგან თავი შეიკავეთ. იყავით მიზანდასახული და დამოუკიდებელი. **მშვილდოსანი** – მიენდეთ განსაკუთრებულად გამახვილებულ ინტუიციას. იღბლიანი დღეა. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. ნებისმიერი გადაწყვეტილება საგულდაგულო გადამოწმების შემდეგ მიიღეთ. **მერწყული** – ინტუიცია გიმახვილდებათ. შინაგან ხმას მოუსმინეთ და სპონტანურად ნუ იმოქმედებთ. **თევზები** – დისციპლინირებულობა, მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. ნუ იქნებით ზედმეტად თავდაჯერებული.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ქალაქი-მუზეუმი იტალიაში; 2. ცალკე მდგომი უძრავი საგანი, ადგილმდებარეობაში გასარკვევად; 3. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 4. ხვიარა მცენარეებით გამწვანებული, დეკორატიული საჩრდილობელი ბაღებში, პარკებში; 5. მთიბავთა სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 9. სამგზავრო-სარკინიგზო ვაგონის ქართული სახელწოდება; 11. განყოფილების სათაური გაზეთში, ჟურნალში; 12. ატმოსფერული ნალექი; 14. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 18. პროფესიონალი მონადირე; 19. მტრედის ბარტყი.

**თარაზულად:** 4. დეკორატიული ჯიშის ოთახის ძაღლი; 5. სასტუმრო გაგრაში; 6. მრავალშრიანი ფანერა; 7. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 8. წვრილი, წვნიანი ნაყოფის მქონე ბუჩქოვან მცენარეთა საერთო სახელწოდება; 10. მწირი, მცირე მოსავლიანი ნიადაგი; 13. ნორვეგიელი დრამატურგი; 15. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. ყურანის თითოეული თავი; 17. კომბინაცია პოკერში; 20. საჭადრაკო ამოცანა; 21. მეცნიერების, ხელოვნების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 22. შენობის ლითონის ჩონჩხი; 23. გაზეთი, რომელიც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. სუფლიორი; 2. ნალმი; 3. იმბეცილი; 4. „ჰენესი“; 7. დრონი; 9. გეიშა; 12. „ბრიჯსტოუნი“; 14. ბორნეო; 15. „მეეზოვე“; 17. გუანაკო; 20. ოხორი.

**თარაზულად**: 5. ცუცხვათი; 6. დამიანე; 8. სამსუნი; 10. მონოტიპი; 11. ბრუნეი; 13. „კაიზერი“; 16. ბარაკონი; 18. სუფსა; 19. გესლი; 21. ახმეტა; 22. ავადჰარა; 23. ტოსკანა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ტალახაძე; 2. ტაქსაფონი; 3. ძაძამიძე; 4. „დამპერი“; 5. ყორანი; 9. მაიამი; 11. დიორამა; 12. „ყოჩები“; 14. ვექსილი; 18. ერაყი; 19. ქინთი.

**თარაზულად**: 4. დოლარი; 5. ყაბალახი; 6. გაუჩო; 7. ამანათი; 8. ასკერი; 10. ქანდა; 13. ძლევენი; 15. „ფრესკო“; 16. ძერა; 17. პიკე; 20. სამიტი; 21. სინემა; 22. მაყვალი; 23. თუშეთი.

## დღის კალენდარი

**26 იანვარი**



**წლის მე-26 დღე, ახალ წლამდე დარჩა 339 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

წმიდა მოწამეთა ერმილესი და სტრატონიკესი (დაახლ. 315), პეტრე ანელისა (309-310); ღირსი იაკობ ნაზიბიელ ეპისკოპოსისა (350).; მოწამისა ათანასესი, პახიმისა, პაპირინესი, მაქსიმე კავსოკალიბელისა ათონელისა (1320); ჰილარისა პიქტაიველი ეპისკოპოსისა (IV); კენტიგერნუსისა, გლაზგოს ეპისკოპოსისა (VII).

წმიდა მოწამენი ერმილე და სტრატონიკე, წარმოშობით სლავები, მეგობრები იყვნენ. ისინი ქრისტიანთა მდევნელი იმპერატორის, ლიკინიუსის დროს ცხოვრობდნენ. წმინდა ერმილე დიაკვნად მსახურობდა ქალაქ სინგიდონში. იმპერატორის ბრძანებით ქრისტეს სახელის აღიარებისათვის იგი დიდხანს იყო საპყრობილეში, რის შემდეგაც სასტიკად აწამეს. წმიდა სტრატონიკე კი, რომელიც ფარულად აღიარებდა ქრისტეს, იმ საპყრობილეში იყო ზედამხედველად, სადაც მოწამე ერმილე ჰყავდათ დატყვევებული. თავისი მეგობრის საშინელი ტანჯვის ხილვაზე მან ცრემლები ვერ შეიკავა და გაამჟღავნა თავისი ქრისტიანობა, ამის გამო ისიც აწამეს.

ღირსი იაკობი, ეპისკოპოსი ნიზიბიისა, გეთალის მთავრის ძე იყო და კარგი აღზრდა-განათლება მიიღო. სიჭაბუკიდანვე შეუყვარდა მას განმარტოება და შემდეგ დიდხანს ცხოვრობდა მარტო ქალაქ ნიზიბიის მახლობლად მდებარე მთებში, სადაც მკაცრ ღვაწლთ ეწეოდა. ცხოვრობდა ღია ცის ქვეშ. საზრდოობდა ხის ნაყოფითა და მცენარეებით, სამოსად კი მხოლოდ ცხვრის ტყავს ატარებდა. მთელ დროს იაკობი ღმერთთან ლოცვით საუბარში ატარებდა. იმპერატორ მაქსიმიანეს მიერ გამოცხადებული ქრისტიანთა დევნის დროს იგი ჭეშმარიტი რწმენის მხნე აღიარებით განიდიდა. წმიდა იაკობი მშვიდობით აღესრულა დაახლოებით 350 წელს.

**დაიბადნენ:**

1714 – ჟან ბატისტ პიგალი, ფრანგი მოქანდაკე.
1804 – ეჟენ სიუ, ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1857 წელს.
1907 – ფრანს სელიე, კანადელი ბიოლოგი, ფიზიოლოგი და ფსიქოლოგი. მან ჩამოაყალიბა სტრესის კონცეფცია, გარდაიცვალა 1982 წელს.
1910 – ელმარ კლოსი, ჩეხი კინორეჟისორი. გარდაიცვალა 1993 წელს.
1918 – ნიკოლაუ ჩაუშესკუ, რუმინეთის ექსდიქტატორი. დახვრიტეს 1989 წელს.
1925 – პოლ ნიუმენი, ამერიკელი მსახიობი.
1925 – ლევან სანიკიძე, მწერალი, ისტორიკოსი. გარდაიცვალა 2002 წელს.
1933 – ელდარ შენგელაია, რეჟისორი.

**გარდაიცვალნენ:**

1831 – ანტონ დელვიგი, რუსი პოეტი, ალექსანდრ პუშკინის მეგობარი.
1870 – ჩეზარე პუნი, იტალიელი კომპოზიტორი.
1891 – ნიკოლაუს ოტო, გერმანელი კონსტრუქტორი.
1892 – უოლტ უიტმენი, ამერიკელი პოეტი.

**მოვლენები:**

1500 – ესპანელმა მეზღვაურმა ვინსენტ პინსონმა ბრაზილიის ტერიტორია აღმოაჩინა.
1797 – რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ ხელი მოაწერეს პეტერბურგის კონვენციას პოლონეთის მესამედ გაყოფაზე.
1841 – ჰონგკონგი ბრიტანეთის ტერიტორიად გამოცხადდა.
1855 – სარდინია რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება.
1855 – გაიმართა რუსეთ-იაპონიის პირველი მოლაპარაკება.
1944 – არგენტინამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა გერმანიასთან.
1949 – ინდოეთში ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

კუვეიტი – განთავისუფლების დღე;
დომინიკის რესპუბლიკა – დუარტეს დღე;
ინდოეთი – რესპუბლიკის დღე;
საბერძნეთი – „მაძღარი მუცლის“ დღე;

*მედიანიუსი*

## სამგლოვიარო განცხადებები

ქ. თბილისის მერიის კ. ფოცხვერაშვილის სახ. მე-7 ხელოვნების სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პედაგოგ ნეტა აგულაშვილის შვილი

**ალეკო ცინცაძე**

და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## ელენე ფოჩხუა დედა მეორედ გახდება



მომღერალი ელენე ფოჩხუა, რომელიც ფართო საზოგადოებამ „ჯეოსტარიდან“ გაიცნო და დღემდე აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა კონცერტებში, დედა მეორედ გახდება.

ანაკლიაში მოკლული მსახიობის გიორგი ფოჩხუას და გოგონას შემდეგ ბიჭს ივნისში ელოდება. მომღერალს 7 წლის ლიზი ჰყავს.

როგორც მომღერალი ჟურნალისტებთან აცხადებს, ბიჭის სახელი ჯერ მოფიქრებული არ აქვს, თუმცა უკვე გადაწყვეტილი აქვს, რომ მის შვილს საყვარელი ძმის გიორგის სახელი არ ერქმევა:

– ბევრი მეუბნება, ალბათ, გიორგის დაარქმევო, რადგან ჩემს ძმას ერქვა, მაგრამ ჩემს ქმარსაც გიორგი ჰქვია, ჩემს მამამთილს გოგი, ჩემი მულის შვილს გიორგი და ძალიან ბევრი გიორგია. თუ ჩემს შვილს გიორგის არ დავარქმევ, ვერავინ იფიქრებს, რომ ამით ჩემს ძმას პატივს არ ვცემ. კონკრეტული სახელი გადაწყვეტილი არ მაქვს, მაგრამ აუცილებლად მოვიფიქრებ ბიჭის ლამაზ სახელს და ჩემს შვილს დავარქმევ.

## გია როინიშვილმა ქეთი დოლიძეს სასამართლო კიდევ ერთხელ მოუგო



კინომსახიობთა თეატრიდან გაშვებულმა მსახიობმა გია როინიშვილმა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს და რეჟისორს ქეთი დოლიძეს სასამართლო კიდევ ერთხელ მოუგო.

ინფორმაცია ამის შესახებ მსახიობმა თავად გაავრცელა:

– როგორც იცით, ერთხელ უკვე მოვიგე სასამართლო აპრილის თვეში ქეთი დოლიძის წინააღმდეგ. მოგების მიუხედავად, მოწინააღმდეგე მხარემ გაასაჩივრა და საქმის განხილვა თავიდან დაიწყო.......

თბილისის საქალაქო სასამართლომ – მოსამართლე ქეთევან კუჭავა ერთხელ კიდევ დააკმაყოფილა ჩემი სარჩელი სრულიად! მიხარია, რომ სამართლებრივადაც მართალი აღმოვჩნდი!

ქეთი დოლიძემ გია როინიშვილი თეატრიდან მას შემდეგ გაუშვა, რაც მსახიობმა პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო, პარლამენტარი გახდა, თეატრში აღარ დადიოდა, სპექტაკლებში აღარ მონაწილეობდა და მხოლოდ ხელფასს იღებდა.

გია როინიშვილისა და ქეთი დოლიძის დავამ სასამართლოში გადაინაცვლა. პირველი სასამართლო გია როინიშვილმა მოიგო, ქეთი დოლიძემ განაჩენი გაასაჩივრა, თუმცა გამარჯვება მეორეჯერაც მსახიობს დარჩა.

## წილკნის ღვთისმშობლის ეკლესიას კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული კატეგორია მიენიჭა



წილკნის ღვთისმშობლის სახელობის არქიტექტურულ კომპლექსს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, წილკნის ღვთისმშობლის სახელობის არქიტექტურულ კომპლექსს განესაზღვრა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი.

წილკნის ღვთისმშობლის სახელობის არქიტექტურული კომპლექსი, რომელიც ამჟამად საეპისკოპოსო კათედრალს წარმოადგენს, მცხეთის რაიონის სოფელ წილკანში მდებარეობს. იგი მოიცავს ტაძარსა და გალავანს. ტაძარი აერთიანებს სამ სამშენებლო პერიოდს და სხვადასხვა ტიპის ნაგებობას – IV საუკუნის დარბაზულ ეკლესიას, V-VI საუკუნეების ბაზილიკას, XI-XII საუკუნეების გუმბათოვან ტაძარს, ხოლო, ტაძრის გალავანი XVIII საუკუნისაა.

კომპლექსი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის და ისტორიის უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელიც ოთხ სხვადასხვა პერიოდში შექმნილ ნიმუშს აერთიანებს. ამასთან, გადმოსცემს არა მხოლოდ ქართული არქიტექტურის განვითარების საფეხურებს, არამედ, ქრისტიანობის გავრცელების ისტორიასაც.

აქ მოღვაწეობდა და ტაძარშივეა დაკრძალული 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთი ისე წილკნელი. ძეგლი მდიდარია რელიეფებით, რომელთაგან ზოგიერთი, საეტაპო ნიმუშია. არქიტექტურული და ხელოვნებათმცოდნეობითი ღირებულებების გარდა, წილკანი მნიშვნელოვანია თავისი ისტორიითაც. იგი იყო საეპისკოპოსო ცენტრი, საიდანაც ხორციელდებოდა ქრისტიანობის შემოსვლა ქართლის მთიანეთში.

კომპლექსის მშენებლობის ეტაპები საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ეტაპების თანმდევია. ის არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საგანძურია.

წილკნის ღვთისმშობლის არქიტექტურულ კომპლექსს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი 2016 წლის ბოლოს მიანიჭა.

## ნუკა ყარალაშვილი საქართველოს „მის სამყაროზე“ წარადგენს

*დასაწყისი მე-12 გვერდზე*

ნუკას მხარდასაჭერ განცხადებას მოდელი მანიკა ასათიანი ავრცელებს:

– წელს ჟიურიმ უნდა აირჩიოს საუკეთესო 12 მონაწილე, მათ დაემატება 1 კონკურსანტი, რომელიც ხალხის რჩეული გახდება.

ვინაიდან, მსგავს კონკურსებში ყოველთვის პოლიტიკის გავლენა და კიდევ სხვა ბევრი ფაქტორი ბევრად წინ დგას, ვიდრე კონკურსანტის გარეგნობა, ჩვენი ქვეყნის ერთადერთი შანსია, რომ ვიაქტიუროთ და გავიყვანოთ ნუკა ჩვენი ძალით.

მის სამყაროს ოფიციალურ ვებ გვერდზე ხდება ხმის მიცემა, სადაც ერთ ადამიანს დღეში 10 ხმის მიცემის უფლება აქვს. შედით ამ ვებ გვერდზე და მიეცით ხმა ჩვენს ნუკას.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

### სპორტი

## პეპემ ჩინეთი აირჩია



მადრიდის რეალის მცველი პეპე კარიერას ჩინეთში გააგრძელებს. პორტუგალიელი ცენტრალური მცველი თითქმის შეუთანხმდა ჩინურ გუნდს ჰებეი ჩაინას, რომლის მთავარი მწვრთნელი მანუელ პელეგრინია.

როგორც მოგეხსენებათ, პელეგრინი ერთ დროს რეალს წვრთნიდა, ამიტომ მან პეპეს შესაძლებლობები კარგად იცის.

პეპეს წლიური ანაზღაურება 15 მილიონი ევრო იქნება და ჩინეთში ის სავარაუდოდ ზაფხულში გადავა.

პეპე რეალში 2007 წელს მივიდა და მას შემდეგ სამეფო გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა გახდა, თუმცა წლევანდელ სეზონში მან რეალის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

## ლივერპული ვილიამ კარვალიოთი დაინტერესდა



ლივერპული ლისაბონის სპორტინგის საყრდენი ნახევარმცველით ვილიამ კარვალიოთი დაინტერესდა, რომელიც 2016 წლის ევროპის ჩემპიონია.

კარვალიო თავის პოზიციაზე ერთ-ერთი საუკეთესოა პორტუგალიის ჩემპიონატში, ამიტომ მისი ტრანსფერი ლივერპულს იაფი არ დაუჯდება. სავარაუდო სატრანსფერო თანხად 30 მილიონი ევრო სახელდება, თუმცა ეს თანხა შეიძლება შეიცვალოს. აღსანიშნავია ისიც, რომ ლივერპულს იანვარშივე სურს ამ ფეხბურთელის შეძენა და ამ შემთხვევაში სწრაფი მოქმედება მოუწევს, რადგან სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ცოტა დრო დარჩა.

## რონალდინიო ბრაზილიურ კორიტიბაში ითამაშებს



ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი რონალდინიო, რომელიც 36 წლის არის, ჯერჯერობით კარიერის დასრულებას არ აპირებს.

მისი მომავალი გუნდი, სავარაუდოდ, ბრაზილიური კორიტიბა იქნება. კორიტიბა ამჟამად ბრაზილიის ჩემპიონატში მე-15 ადგილზე იმყოფება და დიდი სურვილი აქვს, რონალდინიო თავის რიგებში იხილოს.

გავრცელებული ინფორმაციით, რონალდინოც ყაბულს არის და შესაძლოა, მან კონტრაქტს ხელი უახლოეს დღეებში მოაწეროს. რონალდინიოს ბოლო გუნდი ფლუმინენსე იყო, რომელიც ბრაზილიელმა 2015 წლის სექტემბერში დატოვა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## პროგრამა

**ხუთშაბათი 26 იანვარი**

**07.00** დოკ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **08.00** "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "წიგნების თარო" **14.30, 02.50** "ფერმა" **15.00** "X სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00, 03.50** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** ტ/სერ "**მთავრობა**" **00.00** "უცნობი მუსიკა" **01.30** მხ/ფ "**ტყუილის გამოგონება**" (ჯ.გარნერი)

**08.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **09.00** დ/ფ "სამყარო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მხ/ფ "**აპალუზა**" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "მეფის მუმიის საიდუმლო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ბორგიო ლარიჩის სიდუმლოებანი**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**ელიფი**" 1 სერ. **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10,** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**გონული**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** გრიფით საიდუმლო **00.00** მხ/ფ "**დაუჯერებელი სიყვარული**" **02.25** მხ/ფ "**მოჩმე**" **04.15** მხ/ფ "**ტრანსფორმერები**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 20.10** სერ. სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50, 20.03** სერ. "**ოქროს გალია**" **22.00** პროფილი **23.30** სერ. "**დროში დაკარგული**"

**08.00** ან/სერ. "**ფანბოი და ჩამ-ჩამი**" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **18.00** სერ. "**სკანდალი**" **21.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" **00.00** 18| **01.00** მხ/ფ "**უკიდურესი ზომები**" **03.10** მხ/ფ "**ღამის ფერი**"

**06.15** სჯანი **06.40** პატერიკი-მაზიარებელ ადამიანს ბოროტისაგან უფალი იცავს **06.45** დ/ფ "ვარძია" **07.25** ქართული ალბომი **07.50** განთიადის სიუჟეტი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** გამოყენებითი ხელოვნება "ხეზე კვეთა" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართ. ან/ფ **15.30** ტრაპეზი "ბერძნული სალათა-ქათმის ფარმაჟანი" **15.50** კონცერტი **17.00** ქრისტიანული ხელოვნება "სინას მთაზე დაცული ქართული ხატები" **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ "მეფე და ბერი" **19.40** პორტრეტები "ოთარ მელვინეთუხუცესი-გურანდა გაბუნია" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.30** დიდ ხარ შენ უფალო...იოსების გაყიდვა II **22.00** სიახლენი **22.20** ჩვენი საგანძური **22.35** შარავანდედი "წმ. აბო თბილელი,მეფე ლაშა-გიორგი IV" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ღვთის სახლი "ლიხნი" **00.30** წმინდა მოციქულთა სწორი ნინო **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **9.00** სერ. "**ქალბატონი**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** "სიყვარულის იმპერია" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 15.30, 3.00** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**მიცანი თუ შელეგ**" **21.55** სერ. "**პაემანი**" **22.40** სერ. "**მახე**" **1.30** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**26 იანვრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6891 |
| ევრო | 2.8867 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.3501 |
| 100 რუსული რუბლი | 4.5436 |

## ამინდის პროგნოზი 26 იანვრისთვის







**20 იანვრიდან**

## დიდი ქართველი მეფეები

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**

**24 იანვრიდან**

**მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები**

## ჯეინ ოსტინი გონება და გრძნობა




**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**25 იანვრიდან**




კანდიდ ჩარკვიანი

## სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## ნუცა ყარალაშვილი საქართველოს „მის სამყაროზე“ წარადგენს



„მის საქართველო“ ნუკა ყარალაშვილი ჩვენი ქვეყნის სახელით სილამაზის საერთაშორისო კონკურსში „მის სამყარო“ მონაწილეობს. კონკურსი წელს ფილიპინებზე ჩატარდება. საუკეთესო 27 იანვარს დასახელდება, მანამდე კი ქართველი ლამაზმანის გულშემატკივრებს საშუალება აქვთ, ხმა მისცენ საქართველოს წარმომადგენელს.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## იუმორი

ერთი დაქალი მეორე შესჩივის:

– ძალიან უნიათო ქმარი მყავს.

– შენც ადექი და ძაღლის შამპუნით დაბანე.

– ეგ უშველის?

– ჩემსას მასე გავუკეთე და ისე იმოქმედა... კინაღამ დამგლიჯა.

ორი დღის შემდეგ დაქალები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს.

– ეს რა რჩევა მომეცი!

– რა მოხდა?

– რომ დავბანე, სახლში რაც კი ძეხვი გვქონდა სულ შეჭამა, მე უკანალზე მიკბინა და მერე, მეზობელ ძუკნასთან გაიქცა!

•••

ქალი ეს არის – სუსტი, დაუცველი ქმნილება, რომლისგან საშველი არ არსებობს.

***

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– იცი, რომ ჩვენი მეზობელი პროფესორი გეი ყოფილა?

– რას მელაპარაკები. ხედავ შენ? რამდენი წელია მასთან დავდივარ და არც კი ვიცოდი, თუ პროფესორი იყო!

•••

კაცს ძმა გარდაეცვლება. პანაშვიდზე ყველა მოსთქვამს, მიცვალებულს დასტირის, ის კი ხმას არ იღებს. ბოლოს ერთი ნათესავი ეუბნება:

– ბიჭო, თქვი რამე, ხმა ამოიღე.

– ვაა, ვირო, დაირტყი ახალი „ტუფლები“?!

•••

მოსამართლე ეუბნება ბრალდებულს:

– ე.ი. თქვენ ადასტურებთ, რომ დაზარალებულ ქალბატონს თავში ტაფა თქვენ ჩაარტყით.

– დიახ, ბატონო მოსამართლევ, ოღონდ ფეხები მანამდეც დაბრეცილი ჰქონდა.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ჩემ ცოლს ვიღაც ფრანგთან შევუსწარი.

– მერე რა უთხარი?

– რა უნდა მეთქვა, მე ერთი სიტყვა ფრანგული არ ვიცი, იმან კიდევა ქართული...

•••

ხალხით სავსე ავტობუსში ასული ქალბატონის დანახვაზე პატარა ბიჭი წამოხტა და ეუბნება:

– დაბრძანდით, ქალბატონო.

– იჯექი, შვილო, იჯექი, სა მცალია დასაჯდომად.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



**26 იანვრიდან**




## ურჩხული და მზეთუნახავი

მაგარი ყდა, 64 ფერადი გვერდი

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

**27 იანვრიდან**

## დონალდ ტრამპი იფიქრე ჩემპიონივით




**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**



## რაფაელ ნადალი ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში გავიდა

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი რაფაელ ნადალი ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე ბულგარელი გრიგორ დიმიტროვი იქნება. ნადალმა მეოთხედფინალში მილოშ რაონიჩი დაამარცხა სამ სეტში ანგარიშით 6:4, 7:6, 6:4.

შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა და რაონიჩს მეორე სეტში 6 სეტ პოინტი ჰქონდა, მაგრამ კანადელმა ჩოგბურთელმა მათი გამოყენება ვერ შეძლო, რის გამოც დაისაჯა.

ნადალის და დიმიტროვის შეხვედრა პარასკევს გაიმართება და ამ მატჩს ფავორიტი არ ჰყავს, რადგან დიმიტროვი ძალიან კარგ ფორმაშია.

მეოთხედფინალში დიმიტროვმა დავიდ გოფენი სამ სეტში ძალიან ადვილად დაამარცხა ანგარიშით 6:3, 6:2, 6:4.

## პატრის ევრა საფრანგეთში ბრუნდება



პატრის ევრა, რომელიც ამჟამად ტურინის იუვენტუსის ღირსებას იცავს, შესაძლოა საფრანგეთში დაბრუნდეს. ევრას მარსელის ოლიმპიკი ეპატიჟება, თუმცა ტრანსფერის დეტალები ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ბოლო პერიოდში ევრა იუვენტუსის სასტარტო შემადგენლობაში ვერ ხვდება, ამიტომ მან გუნდის დატოვება გადაწყვიტა. ფრანგ მცველს რამდენიმე კლუბი ეპატიჟება, თუმცა თვითონ ევრამ განაცხადა, რომ მას სამშობლოში დაბრუნება სურს, ამიტომ მარსელის ოლიმპიკის ვარიანტი ყველაზე რეალურია. ევრა ბოლოს საფრანგეთში 2004 წელს თამაშობდა, როდესაც მონაკოს ღირსებას იცავდა. მონაკოდან ის მანჩესტერ იუნაიტედში გადავიდა, სადაც 2008 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

ჩვენს საყვარელ **ლალი ასლანიშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს საყვარელ ადამიანებთან ერთად.

*სიყვარულით „ახალი თაობა“*



foto.nolinsk.ru

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1 სახელმწიფო ევროპაში; 2. ეთერზეთოვანი მცენარე, სურნელოვანი ყვავილი; 3. უფროსი მღვდელი მართლმადიდებელ ეკლესიაში; 4. ვაშლის ქართული ჯიში; 7. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. პირველი იაპონური დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი; 12. სხვადასხვა ნაწილებისაგან შეკოწიწებული რამე; 14. ფულის გამოძალვა; 15. პოლონეთის ძველი დედაქალაქი; 17. ნიჟარაში ბინადარი რბილსხეულიანი ცხოველი; 20. ფულის ერთეული ყაზახეთში.

**თარაზულად:** 5. კამერული ჟანრის მუსიკალური ნაწარმოები; 6. ქართველი მოდელიორი ქალი; 8. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 10. ქიმიური ელემენტი, აირი; 11. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 13. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 16. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 18. თხრობითი ხასიათის ლექსი; 19. გერმანიის პრეზიდენტი; 21. საკვები პროდუქტების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 22. ანტიკური ორთვლიანი, ოთხცხენიანი ეტლი; 23. სტეპებში გავრცელებული არწივი.



*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*